ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. იანვარი, №1 (30), ფასი 3 ლარი

9 წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

11 ეროვნული სკოლა — ქვეყნის განვითარებისა და წარმატების დედაბოძი

14 რა იყო ჩვენთვის დიდი სამამულო ომი...

17 ოპერის თეატრის დიდი ანტრაქტი

22 გიორგი ერისთავი — ქართული კულტურის მესაჭე

24 ქართული მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე

26 ვლადიმერ ბექაური — საბჭოთა საიდუმლო შეიარაღების შემქმნელი

32 კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავლობა

36 ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები?

«ბედნიერი ერი ვართ, რომ გვყავს ასეთი სულიერი მამა»

4

იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოცხადდა

სარჩევი

ვულოცავთ
„ბედნიერი ერი ვართ, რომ გვყავს ასეთი სულიერი მამა“ 4

მამულიშვილი
წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი 9

ისტორია
ეროვნული სკოლა — ქვეყნის განვითარებისა
და წარმატების დედაბოძი 11

ფიქრები ალზრდაზე
რა იყო ჩვენთვის დიდი სამამულო ომი... 14

ინტერვიუ
ოპერის თეატრის დიდი ანტრაქტი 17

თეატრის სათავეებთან
გიორგი ერისთავი — 200. ქართული კულტურის მესაჭე 22

გახსენება
ქართული მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე 24

სახელოვანი ქართველები
ვლადიმერ ბექაური — საბჭოთა საიდუმლო შეიარაღების შემქმნელი 26

ერთი გვარის ისტორია
კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავლობა 32

თვალსაზრისი
გიორგი მჭედლიშვილი: ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები? 36

საოჯახო ალბომი
ფოტოები არასოდეს ძველდება... 43

ქართული პრესა 30 წლის წინ
ისტორია მეორდება 46

მოსაზრება
რა არის ომი? 49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

„ბედნიერი ერი ვართ, რომ გვყავს ასეთი სულიერი მამა“

მთელმა მართლმადიდებლურმა სამყარომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავი მოულოცეს.

შეხვედრაზე, რომელიც საპატრიარქოში გაიმართა, ბულგარეთის მოსაყდრე, სერბეთის პატრიარქი, ასევე ჩეხეთისა და სლოვაკეთის დელეგაციების პირველი პირები იმყოფებოდნენ.

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა მის უწმინდესობას და უნეტარესობას, ილია მეორეს დიდხანს სიცოცხლე და საქართველოს გაძლიერება უსურვეს.

14 იანვარს სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოს I-მა ერთობლივი წირვა აღასრულეს. წირვას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან და მთავრობის წევრებთან ერთად დაესწრო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო! ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატვრა — იშვა იესო. ოცი საუკუნის წინ აღმობრწყინვებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც. თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე? ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, — არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, — ბრძოლა არსებობისათვის. ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა

„მოხარული ვარ საქართველოში ყოფნით. კონსტანტინოპოლის ეკლესია მუდამ ამაყობს საქართველოს მოსახლეობით და მისი პატრიარქით“.

მსოფლიო პარტიარქი ბართლომეოს პირველი

დაკარგეს სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს. ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა, სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი, ამქვეყნად არ იპოვებოდა, რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა. აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, — იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა. სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?! როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში — ქრისტიანული ნათლისღებით. „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“ — ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი და ეძლევა განღმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფს. 8:4).

ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის თავგანწირვა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა. პავლე მოციქული ამბობს: **„როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს“** (I კორ. 13:11). **ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა შემომქმედის – უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.**

ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან უღვივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძო-

„თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება“

და კიდეც და ამასთან, დაუღალავად შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავადაზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერსსამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არც ერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის გაწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, მაგ. 100000 მოწამის.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება.

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლეხკაცობაზე აისახა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა. დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, — „ბედნიერი ერი“ — ნათლად დაგვანახა. ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა. **უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია. ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის.** და თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელთბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს“ პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს. რომ ჩვენს გარშემო ვამჩ-

„თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის“

საქართველოს ეკლესიამ, ისე როგორც სხვა ქვეყნების მართლმადიდებელმა ეკლესიებმა გამოიარეს უმძიმესი პერიოდი თავისი ისტორიისა, როდესაც საკმაოდ ძნელი იყო ადამიანის სარწმუნოების შენარჩუნება. დღეს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს შესაძლებლობა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სიტყვა მიიტანოს მრევლამდე.

სერბეთის პატრიარქი პავლე პირველი

ნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს. რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეთ.

ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ **არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.**

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ **დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას,** კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. **მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.**

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: **გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.**

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში.

ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, — ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია.

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თა-

ჩვენ დღეს გულწრფელად ვზეიმობთ ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის, მისი უწმიდესობის დაბადებიდან 80 წლისთავს და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს. მაშინ, როდესაც ქრისტიანულ სამყაროსა და, განსაკუთრებით, საქართველოში ათეიზმი და ქრისტიანობის წინააღმდეგ ძალები მძლავრობდნენ, მისმა უწმიდესობამ უდიდესი როლი შეასრულა იმისათვის, რომ ქართველ ერს გზა არ დაბნეოდა და მას სწორი გზა მისცა. უახლოეს წლებსაც თუ გავიხსენებთ, როდესაც ისევ გაურკვეველი ძალები მძლავრობდნენ და უტევდნენ ჩვენს ტრადიციებს, უტევდნენ ქრისტიანობას, ისევ მისმა უწმიდესობამ, ჩვენმა პატრიარქმა სწორი გზა უჩვენა ჩვენს ერს. ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რომ გვყავს ასეთი სულიერი მამა, მისი უწმინდესობა, ჩვენი საყვარელი პატრიარქი ილია მეორე. მივულოცოთ მას და ვუსურვოთ დიდხანს ჯანმრთელობა და სიცოცხლე ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

ნასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, — ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შემდეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმიდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.

„დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ“

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“

ჩემო სულიერო შვილები, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!

„მიიღეთ გულითადი მილოცვა თქვენი პატრიარქად მოღვაწეობის 35-ე წლისთავსა და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით... ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს თბილ დამოკიდებულებას რუსეთისადმი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. ვაფასებთ თქვენს ძალისხმევას და მოწოდებას მშვიდობისკენ, სიყვარულისა და ურთიერთგაგებისკენ, რომელიც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის მრავალსაუკუნოვანი, მეგობრული ურთიერთობების რთულ პერიოდში შენარჩუნებას. დარწმუნებული ვარ, რომ სულიერი, კულტურული და ჰუმანიტარული დიალოგი არის მყარი საფუძველი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის“, — ნათქვამია რფ-ის პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის** მისალოცდეპეშაში, რომლის ტექსტიც კრემლის ოფიციალურ საიტზეა განთავსებული და რომელიც კულტურის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა მიხეილ შვიდკოიმ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მიმდინარე კონფერენციაზე წაიკითხა. შვიდკოიმ უწმინდესს რუსეთის პრეზიდენტის სახელით ხატი გადასცა და აღნიშნა, რომ **„ხატმა არამშვიდობიან და კონფლიქტურ პერიოდში ხშირად აღმოუჩინა დახმარება რუსეთს“.**

იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოცხადდა

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი – ასე უწოდა მადლიერმა შთამომავლობამ ექვთიმე თაყაიშვილს, რომლის დაბადებიდან უკვე 150 წელი გავიდა.
იგი დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში, აზნაურის ოჯახში. ჯერ კიდევ სულ პატარას დაეღუპა მშობლები, თუმცა იმდენად ნიჭიერი იყო, რომ 1883 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1887 წელს კანდიდატის ხარისხით დაამთავრა.
დაკავებული იყო პედაგოგიური საქმიანობით: ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას.

ექვთიმე თაყაიშვილი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში შეაგროვა და მეცნიერულად დაამუშავა საქართველოს სიძველეები. რადგან ამგვარი საქმიანობა ბევრ დროს მოითხოვდა, 1904 წელს თავი დაანება ოფიციალურ სამსახურს და, საარსებო წყარო რომ ჰქონოდა, გიმნაზიაში ისტორიას ასწავლიდა. **1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება,** რომლის პირველი თავმჯდომარე თავად იყო. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის მიზნით, თურქეთში სამი ექსპედიცია მოაწყო, რომელთა მიზანი ქართული მონასტრების შესწავლა და აღწერა იყო. **ივანე ჯავახიშვილთან ერთად 1918 წლის 26 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** იგი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი და არქეოლოგიური კათედრის გამგე, მაგრამ 1921 წელს იძულებული გახდა, დაეტოვებინა კომუნისტური ხელისუფლების მიერ ანექსირებული საქართველო და წასულიყო ემიგრაციაში.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე და ამავე დროს საქართველოს მუზეუმების ზედამხედველი, ექვთიმე ხაზინის ქონებასთან ერთად საფრანგეთში მეთვალყურეობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულს. განძეულის დაცვა მეტად რთული საქმე აღმოჩნდა. ჯერ იყო და საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ლეგიტიმურობა, შემდეგ სალომე დადიანმა (მენგრელსკაია-ობოლენსკაიამ), პარიზის სასამართლოში ორჯერ აღძრა საქმე ექვთიმე თაყაიშვილის წინააღმდეგ საგანძურის ვითომდა მისი კუთვნილი წილის ჩამორთმევის მიზნით. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ნაცისტებმა მოინდომეს ვერსალის ბანკში დაცული საქართველოს განძის ხელში ჩაგდება. დრო არ ითმენდა, განძეულს ოკუპირებული პარიზიდან ვერ გაიტანდნენ, ამიტომ გადაწყდა, ძვირფასეულობა სარდაფში ჩაეტანათ და ყუთებისთვის ზემოდან სამშენებლო ნაგავი დაეყარათ.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი მეცნიერი გამუდმებით ცდილობდა განძეულის საქართველოში დაბრუნებას, წერდა წერილებს საბჭოთა საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს, მაგრამ ამაოდ. ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში წერს: **„გერმანელების მიერ საფრანგეთის აღების შემდეგ მუდმივ შიშსა და ტერორში ვიყავი. აღარც საარსებო საშუალება მქონდა. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, არამც თუ სა-**

ხელმწიფო ნივთი, არამედ ჩემი საკუთარი ისტორიული ნივთებიც არ გამიყიდია. თუმცა მქონდა ისეთი ნუმიზმატიკური ერთეულები, რომ შემეძლო გავმდიდრებულიყავი... დაწყევლილი მყავდა ყოველი ქართველი, რომელიც ისტორიულ ნივთს სამშობლოს დაუკარგავდა, გამოცხადებული მქონდა, რომ ასეთი ნივთი ჯერ ჩემთან უნდა მოეტანათ და, თუ ვერ შევიძენდი, მფლობელს მხოლოდ მაშინ შეეძლო მისი უცხოელზე გაყიდვა."

ექვთიმე ხობის მონასტრის ბერებთან, 1913 წ.

1944 წლიდან საფრანგეთის დროებითი მთავრობის სათავეში დეგოლის მოსვლისთანავე აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის. საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში, ა. ბოგომოლოვს დავალებული ჰქონდა მოეგვარებინა სამუზეუმო განძეულის საქართველოში დაბრუნების საკითხი. 1944 წელს მოსკოვში ვიზიტამდე დეგოლმა სხვადასხვა არხით გაარკვია, თუ რა ჩაეთვლებოდა სტალინთან შეხვედრისას დადებითად და მოსკოვში გამგზავრებამდე გასცა ბრძანება, **მოეხსნათ ყადაღა ქართული განძისთვის და დაებრუნებინათ იგი საქართველოსთვის.** ექვთიმე თაყაიშვილის ჯანმრთელობამ ვეღარ გაუძლო ცივ და ნესტიან საცავში, ზოგჯერ ლუკმა-პურის გარეშე ხანგრძლივ მუშაობას და სწორედ ამ დროს ფილტვების ანთებით დაავადდა. მის დასახმარებლად საქართველოდან შალვა ამირანაშვილი ჩავიდა და გასამგზავრებლად განძის ჩალაგებაში დაეხმარა. ექვთიმე თაყაიშვილს ერთადერთი სათხოვარი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებასთან: „შილიფად ვარ, და გთხოვთ სამოსი გამომიგზავნოთო". **ექვთიმემ თავის დროზე მოიგერია როგორც ამერიკის მუზეუმის, ისე ინგლისელთა შემოტევა განძის ნაწილის შეძენის შესახებ. გაუძლო ყოველგვარ და ყოველმხრივ ზეწოლას და ჯანმრთელობაშელახული, მხცოვანი მეცნიერი 1945 წლის 5 აპრილს თვითმფრინავით გამოემგზავრა საქართველოში უკლებლივ ყველა ექსპონატთან ერთად.** თვითმფრინავი რომის, ბენ-ღაზის, კაიროს და თეირანის გავლით 11 აპრილს ჩამოფრინდა თბილისში. საზოგადოება დიდი პატივით, მოწიწებითა და მადლიერებით შეხვდა ეროვნული განძის მცველს. სამშობლოში დაბრუნებამ ოთხმოც წელს გადაცილებულ მეცნიერს ენერგია გაუორკეცა. **საქართველოში გატარებული რვა წლის განმავლობაში ექვთიმემ იმდენი საქმის გაკეთება მოასწრო, რომ ერთი სოლიდური მეცნიერის სიცოცხლეს ეყოფოდა.**

ექვთიმე სვანეთში

ვერც ერთი ქართველოლოგი ვერ აუვლის გვერდს მის ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, ფილოლოგიის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და ლინგვისტიკის სფეროში.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და მას სახელად „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი" უწოდა. 2003 წლის მაისში თბილისში მისი სახლ-მუზეუმი და სამლოცველო გაიხსნა. ექვთიმე ღვთისკაცის ხსენების დღედ დაწესდა 3 იანვარი.

დეა სვანიძე

ეროვნული სკოლა — ქვეყნის განვითარებისა და წარმატების დედაბოძი

სწავლა-აღზრდის საგანმანათლებლო კონცეფცია «დროების» (1866–1885) ფურცლებზე

1860-იანი წლებიდან ქართული კულტურის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. რუსეთის დამარცხებამ ყირიმის ომში, ნიკოლოზ I-ის სიკვდილმა, გლეხთა განთავისუფლების აუცილებლობამ, საქართველოში უფროსი თაობის მრწამსის კრისტალიზაციამ „ცისკრის“ ფურცლებზე სათანადო პირობები შექმნა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლისათვის. ამ თაობას აერთიანებდა ერთიანი მსოფლმხედველობრივი საფუძველი — დასავლეთევროპელი და რუსი განმანათლებლების მოძღვრების პოზიციებზე დგომა. „თერგდალეულთა“ საერთო მიზანი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლა და განახლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მათ ერთიანი, საერთო თვალთახედვა ჰქონდათ მთელ რიგ საკითხებზე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარია. მეცნიერება და ტექნიკა უკვე გაბატონებულია. თვინიერ მეცნიერებისა და ტექნიკისა, რაიმეს კეთება და რაიმე წინსვლა, რაიმე განახლება შეუძლებელია. ევროპა მომავლის ოცნებას მეცნიერებისა და ტექნიკის ძალას უკავშირებს. მეცნიერებას და ტექნიკას რომ მტკიცედ დაეუფლო, აუცილებელია საყოველთაო განათლება.

„თერგდალეულებიც“ განათლების აპოლოგეტები არიან. ამას ისინი არა მარტო თეორიულად მოითხოვდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება, სკოლების გახსნა, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და სხვა ამგვარი საქმიანობა. მაგრამ განათლება რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, აუცილებელია, სალიტერატურო-სამეცნიერო მეტყველება დაუახლოვდეს ხალხის მეტყველებას. მათ შორის კედელი არ უნდა იყოს აღმართული. მეცნიერებ-ხელოვნება არ უნდა მეტყველებდეს ხელოვნურად შექმნილი, საგანგებო, ძნელად გასაგები ენით. **„თერგდალეულებმა“ სამეცნიერო-სალიტერატურო ენის ძირეული რეფორმა მოახდინეს. სამეცნიერო-სალიტერატურო ენა ხალხისათვის მისაწვდომი და იოლად გასაგები გახადეს.**

ენის რეფორმასაც ცხარე სჯა-ბაასი, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, მაგრამ „თერგდალეულებმა“ ეს საქმე გამარჯვებით დააგვირგვინეს.

„თერგდალეულები“ ხელოვნება-მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა, მწერლობა-ხელოვნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულების.

განმანათლებლური იდეების გავრცელების შედეგად, რასაც ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზაცია“ უწოდა, უფროსი თაობის რეტროგრადულ ღირებულებათა სისტემა, სალიტერატურო ენით დაწყებული და სწავლა-განათლების მეთოდებსა და დანიშნულებაზე წარმოდგენით დამთავრებული, საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაში მოექცა. კონტრკულტურა, 1860-იან წლებამდე მხოლოდ ტენდენციის სახით არსებული განმანათლებლური გეზი, ეპოქის კულტურული იერ-სახის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა.

„თერგდალეულების“, მათ შორის „დროების“ პოზიციას სწავლა-განათლების საკითხებზე ის განმანათლებლური მრწამსი ასაზრდოებს, რომ კულტურის ყველა უბანი რაციონალიზმის თეორიულად ღრმადგააზრებულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. სიმპტომატურია, რომ „თერგდალეულთა“ თეორიულ ნააზრევში ერთ-ერთი მთავარი საკვანძო სიტყვა „გონება“ ხდება. არაა შემთხვევითი, რომ გრიგოლ ორბელიანი თავის საპოლემიკო ლექსში „პასუხი

შვილთა“ ახალ თაობას, „შვილებს“ გონების უზენაესობის პრინციპის წამოყენებაში ადანაშაულებს: „შკოლა“ გამართეს და დაიწყეს იმის ქადაგება, რომ „ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“. „დროების“ ერთ-ერთი ავტორის — **ილია ჭავჭავაძის თქმით, სკოლის დანიშნულება ის არის, რომ მოზარდ თაობას „აუხილოს გონების“ თვალი“, „მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული „კაცი“.** ა. ნანეიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ **ლიტერატურას „დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდობის გონებით განვითარებაზე“** („დროება“, 1881, №80). „დროების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი — **ნ. ნიკოლაძე აღზრდის მიზანს მოზარდის „გონებისა და ზნეობის“ სრულყოფაში ხედავს** („კრებული“, 1871, №3).



ნიკო ნიკოლაძე

განათლების სისტემის მოწყობის საკითხზე „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილებში გატარებულია ის აზრი, რომ **მოზარდი თაობის გონებრივი განვითარება მიზნად უნდა ისახავდეს სრულყოფილი პიროვნების, ჭეშმარიტი მოქალაქის ჩამოყალიბებას.** განმანათლებლობისა და პედაგოგიკური აზრის უდიდესი წარმომადგენლების — იან ამოს კომენსკის, იოჰან ჰაინრიხ პესტალოცისა და კონსტანტინ უშინსკის კვალად, **იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ პიროვნების „ჰარმონიული განვითარება შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისა“.**

ამავე დროს **„დროების“ ავტორები თავგამოდებით იცავდნენ იმ აზრს, რომ ჰარმონიულად განვითარებული და ქვეყნისათვის სასარგებლო მოქალაქის აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე.** ამ მხრივ ტიპიურად უნდა მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის განცხადება, რომ **„დედა ენა უპირველესი საგანი, უკეთესი და აუცილებელი სახსარია, რათა სკოლამ თავისი დანიშნულება აღასრულოს“** („დროება“, 1881, №33). წერილში „სამშობლო ენის პროგრამაზედ“ სერგი მესხი იცავს იმ აზრს, რომ **„პირველი დაწყებითი სწავლა ბავშვს თავის სამშობლო, გასაგებ და დედის ძუძუსთან შეზრდილს ენაზედ უნდა გადასცეს მასწავლებელმა“** („დროება“, 1879, №59). აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ი. ა. კომენსკის ხატოვანი სიტყვები, რომ „მშობლიური ენის სკოლა წარმოადგენს ზაფხულს, რომელსაც მწიფე პურის თავთავები მოაქვს“. „დროების“ ფურცლებზე ეროვნული სკოლის, მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანია.

ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლების განმანათლებლური პოზიცია სწავლა-აღზრდის საკითხებში განსაკუთრებით ცხადად მჟღავნდება იმ ფაქტში, რომ გადაჭრით უარყოფენ კულტურის ელიტარულობის, იერარქიულ პრინციპზე აგების პრინციპს. ეს ნათელ გამოხატულებას პოულობს ქართველი განმანათლებლების, „თერგდალეულების“ პედაგოგიკურ შეხედულებებშიც. „დროებაში“ თანმიმდევრულად არის გატარებული განათლების სისტემაში სოციალური თანასწორობის მოთხოვნა. ნიკო ურბნელს (ხიზანიშვილს) რუსეთის მიერ საქართველოში დანერგილი განათლების სისტემის დიდ ნაკლად ის გარემოება მიაჩნია, რომ „განათლება მაღალი წოდების საკუთრებას შეადგენდა“ („დროება“, 1887, №187). **„დროება“ ქართული პერიოდიკის იმ უმთავრეს ორგანოთაგანი იყო, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის დაბალი ფენების ბავშვების განათლებით უზრუნველყოფას, სკოლებში სოციალური თანასწორობის პრინციპის განუხრელ დაცვას.**

პედაგოგიკის საკითხებში „თერგდალეულების“ განმანათლებლური პოზიცია ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ისინი გადაჭრით უარყოფდნენ სწავლა-აღზრდის სქოლასტიკურ მეთოდებს, მოითხოვდნენ სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის დაცვას, მოზარდი თაობის სათანადო მომზადებას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობისათვის. **მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით გამართულ მწვავე კამათში, სწავლების რომელი მეთოდია სრულყოფილი — „კლასიკური“ თუ „რეალური“, „დროებამ“ ერთხმად დაიკავა პოზიცია უკანასკნელის სასარგებლოდ.** ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და „დროების“ სხვა ავტორები, ევროპელი განმანათ-

„თერგდალეულები“ გადაჭრით უარყოფდნენ სწავლა-აღზრდის სქოლასტიკურ მეთოდებს, მოითხოვდნენ სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის დაცვას, მოზარდი თაობის სათანადო მომზადებას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობისათვის

ლებლების იდეებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ **კლასიკური განათლება ცალმხრივობით ხასიათდება, ნაკლებად უთმობს ყურადღებას „ნამდვილ, ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას“** (ნ. ნიკოლაძე — „კრებული“, 1871 №3). ნიკო ნიკოლაძის მიერ რეალური განათლების სისტემის დასაცავად დაწერილ წერილში გატარებულია ის აზრი, რომ **„აღზრდა არის კაცის გამზადება ცხოვრებისათვის“** („დროება“, 1871, №12), ხოლო ამ ამოცანას კლასიკური განათლება ვერ უზრუნველყოფს, ვინაიდან ძირითადად ჰუმანიტარული საგნებით იფარგლება და უგულებელყოფს საბუნებისმეტყველო საგნებს. **„დროებამ“ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში რეალური განათლების სისტემის დანერგვას, პროფესიული სწავლების გავრცელებას, სპეციალური სასწავლებლების გახსნას.**

იაკობ გოგებაშვილი

განათლების სისტემასა და პედაგოგიკურ აზრს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ამ სფეროში „თერგდალეულებისა“ და მათი ერთ-ერთი მთავარი ორგანოს — „დროების“ უდიდესი დამსახურება და ნოვატორობა ისაა, რომ სწავლა-აღზრდის ორგანიზებისა და წარმართვის საქმე ევროპელი განმანათლებლების თეორიულ პრინციპებზე დააფუძნეს.

„დროების“ ავტორებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ისიც, რომ ისინი გარკვეულწილად ჯერ კიდევ საქართველოში XVIII საუკუნეში სავსებით ნათლად გამოკვეთილ განმანათლებლურ ტენდენციას ავითარებდნენ. ნიკო ურბნელი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ მეფე ერეკლე II-ს დროს საქართველოში „გონებითი მოძრაობა ბევრით ემსგავსებოდა ევროპის გონებითს მოძრაობას მეთვრამეტე საუკუნეში“, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ახალი ტიპის სასწავლებლების დაარსება და ავსტრიასა და საფრანგეთში გავრცელებული სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა („დროება“, 1883, №187). ასევე XIX საუკუნის დასაწყისში, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნარკვევში „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ და მის ცნობილ ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“ ნათლად არის გამოხატული ის იდეალები, რომლებიც 1860-იანი წლების თაობის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებენ. მაგრამ არსებითი თვისებრივი სხვაობა ისაა, რომ თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში განმანათლებლური გეზი მხოლოდ ტენდენციის სახით არსებობდა, 1860-იანი წლებიდან ყოველივე ეს ქართული კულტურის გაბატონებულ მოვლენად იქცა.

ეს სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული ილია ჭავჭავაძეს, როდესაც აღნიშნავდა, რომ **ეროვნული სკოლა „გამოგვიზრდის ჩვენს საკუთარს ქართველს ინტელიგენციას, ე.ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმარტებისა“.**

* * *

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ფორმირება დემოკრატიულ პრინციპებს ეყრდნობოდა, რომლის მამოძრავებელი ძალაც ქართველი საზოგადოებრიობა იყო. მძიმე საშინაო და საგარეო პირობების მიუხედავად, საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესი თანდათან წინ მიიწევდა. დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, რომელიც განათლების სისტემის რეორგანიზაციის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო.

საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციის საფუძველს — „ამიერკავკასიის სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ“ მიღებული დეკრეტი წარმოადგენდა (1917 წ.), სადაც ხაზგასმით აღინიშნებოდა სწავლა-აღზრდისა და განათლების კერძო ინიციატივის ფართოდ გავრცელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სწორედ ამ დროიდან უდიდესი ყურადღება ეთმობოდა სწავლების ძველი, ქართული კერების ამოქმედებას, ხოლო სწავლა-აღზრდის კერძო ინიციატივის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა საეკლესიო-სამონასტრო, საშინაო და კერძო ხასიათის სკოლების ქსელის სწრაფი ტემპით გაფართოებას. აღნიშნული სასწავლებლები, ისტორიული თვალსაზრისით, მეტად ორიგინალურ საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ.

დიანა კახიძე

„თერგდალეულებისა“ და მათი ერთ-ერთი მთავარი ორგანოს — „დროების“ უდიდესი დამსახურება და ნოვატორობა ისაა, რომ სწავლა-აღზრდის ორგანიზებისა და წარმართვის საქმე ევროპელი განმანათლებლების თეორიულ პრინციპებზე დააფუძნეს

რა იყო ჩვენთვის დიდი სამამულო ომი...

ქართველი მეცნიერის, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, რუსეთის განათლების აკადემიის აკადემიკოსის, ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებლის შალვა ამონაშვილის წიგნი „აყალიბებ რა ადამიანს“ არის მამის გულახდილი საუბარი შვილთან. რედაქციის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ეს არის მამისა და ნიჭიერი პედაგოგის მოთხრობა ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე. აღზრდის პროცესის რომანტიკაზე, მშობელთა გატაცებაზე, სიხარულსა და წუხილზე, რაც აღმზრდელებს ამ გზაზე ელით“.
წიგნში ავტორი მოუთხრობს უკვე სრულწლოვან შვილს, როგორ ზრდიდნენ მას, ადამიანის რა იდეალს აყალიბებდნენ მასში. თუ როგორ უნდა აღიზარდოს სწორად ბავშვი და მისი განვითარებისთვის როგორ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები, დღესაც აქტუალური თემაა.
ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

გულში აფეთქებული ყუმბარა

...შენ სწავლობ მოვლენებს, რომლებიც ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ ჩვენი სამშობლოს, უფრო სწორად, მთელი მსოფლიოს ბედს წყვეტდა. ისტორიის სახელმძღვანელოდან სპეციალურ რვეულში იწერ ქრონოლოგიურ თარიღებს, მოვლენებს, ქალაქების, მარშლების სახელებს. შენ მშვენივრად იცი ეს ყველაფერი. გაკვეთილებზე შენ და შენს ამხანაგებს მასწავლებელი მორიგეობით გიძახებთ და თქვენ უყვებით დასწავლილს, რუკაზე უჩვენებთ მოვლენათა ადგილებს, დაუყოვნებლივ და უშეცდომოდ იხსენებთ თარიღებსა და სახელებს და შეფასებას ელით.

თქვენ უყვებით მასწავლებელს პარაგრაფის შინაარსს თავიდან ბოლომდე, სიტყვასიტყვით, ამ დროს კი ქუჩებში დადიან მოხუცები, რომლებიც თავიანთ შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს საბავშვო ბაღებში მიაცილებენ, ან სკოლებში მიჰყავთ და მათი აბგები მიაქვთ, ან ძლივს ეზიდებიან სურსათ-სანოვაგით სავსე ჩანთას შინისაკენ.

ამ სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი წლის ადამიანებს ეშინიათ ხალხმრავალი ქუჩების, ეშინიათ ქუჩაზე გადასვლის, ნელა, აუჩქარებლად მიდიან.

მაგრამ ესენი ხომ ის ჯარისკაცები არიან, რომლებიც ომს გადაურჩნენ და რომლებიც ისტორიას თვითონ ქმნიდნენ; ახლა კი თავიანთი მოხუცებულობის უკანასკნელ წლებს შესდგომიან. ცოცხალი ისტორია — აი, ვინ არიან ისინი!

როგორ შეიძლება ახალგაზრდამ წიგნით დაიზუთხოს ისტორია და არ შეეხოს ამ ისტორიის ცოცხალ გმირებს?!

გეკითხებით: გიტირიათ თუ არა ისტორიის გაკვეთილებზე, როცა ოცდათხუთმეტი წლის წინანდელ მოვლენებს სწავლობდით და ოსვენციმს, ლენინგრადის ბლოკადას, სტალინგრადს, ხატინს ახსენებდით? არა? აი, სწორედ ეს მაშფოთებს!

თქვენ კლასში გაცნობენ ციტატებს და გამონათქვამებს ომზე, მაგრამ ყოველ ოჯახსაც ხომ აქვს ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ფრონტული არქივი — წერილები სანგრებიდან, ცეცხლის წინა ხაზიდან! მებრძოლები თვალებში უყურებდნენ სიკვდილს და ისე წერდნენ ამ წერილებს. ზოგ მათგანს სისხლის ლაქები ამჩნევია. ბევრ დედასა და ცოლს მიუღია ისინი შვილის თუ ქმრის გმირულად დაღუპვის ცნობასთან ერთად...

ყოველ ოჯახს მოეპოვება უძვირფასესი რელიკვიები, რომლებითაც დიდების საგვარეულო მუზეუმები შეიძლება შექმნას. ეს არის დიდი სამამულო ომის ორდენები და მედლები, სანგრებში სიკვდილის წინადღით გადაღებული ფოტოსურათები, საველე ჩანთები, ტყვიით გახვრეტილი ჯარისკაცული პილოტურები, ჯარისკაცული მაზარები, რომლებსაც ჯერაც არ გაჰქრობიათ დენთის სუნი.

მე გეკითხებით: **მიგაქვთ თუ არა გაკვეთილებზე ეს წერილები და კითხულობთ თუ არა მათ ხმამაღლა? მიგაქვთ თუ არა გაკვეთილზე საოჯახო რელიკვიები, აღადგენთ თუ არა მათთან დაკავშირებულ მოვლენებს? გამოხატავთ თუ არა გაკვეთილებზე უდიდეს სიამაყეს თქვენი პაპების გამო? არა? მაშ, როგორღა ვიყო გულდამშვიდებული!**

არა, მე ამას ვერ შევურიგდები!

ვერ დავუშვებ, რომ ჩვენი საოჯახო დიდების მუზეუმის რელიკვიები — შენი პაპების ფრონტული წერილები და ორდენები მშვიდად ეწყოს უჯრაში, შენ კი იქვე, შენს სამუშაო მაგიდასთან სახელმძღვანელოს გვერდებს ზუთხავდე!

ეს ისტორია ცოცხლობს ჩვენი ქვეყნის მილიონობით ოჯახში, ცოცხლობს ჩვენს სახლშიც და ის უთუოდ უნდა განიცადოს ყველა ახალგაზრდამ. **როგორ აღგზარდო მე შენ ადამიანად, თუ არ ჩავაქსოვ შენში წუხილსა და სიამაყეს საკუთარი პაპების გამო და არ ჩაგინერგავ უწმინდეს ზრუნვას სამშობლოს ბედზე!**



ოცდათხუთმეტი, ორმოცი წელი... განა დიდი დროა გასული? ან იქნებ უკვე გამოვიტირეთ და დავივიწყეთ ყველაფერი?!

შენ ახლა ამას თავად დაინახავ, რადგან თვითონვე გახდები მოწმე, როგორი გამოძახილი ჰქონია ამ ომს. შენ თვალწინ ყუმბარები აფეთქდებიან გულებში და არა კინოეკრანებზე.

იქნებ არ უნდა მიმემართა ამ გზისთვის, არ უნდა შევხებოდი ჭრილობებს, რომლებიც ადამიანთა სულის კუნჭულებში ჩამარხულა?

მაპატიეთ, ძვირფასო დედებო, რომ არ დაგინდეთ, მაგრამ ეს ადამიანის ჩამოყალიბების ზოგადკაცობრიულმა მოვალეობამ გამაკეთებინა!

— პაატა, სთხოვე ბებიას, ის ყუთი გახსნას, ბაბუას წერილები რომ უწყვია და თვითონვე წაგიკითხოს ისინი.

პაპა — ჩემი მეუღლის მამა — მოწინავე ხაზზე იბრძოდა, გამოიარა მთელი ომი და შინ მრავალნაჭრილობევი დაბრუნდა. შემდეგ თავდაუზოგავად შრომობდა და შვილიშვილის დაბადებამდე ორი წლით ადრე მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ კაცს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, მაგრამ თან ჩამოიტანა ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის, წითელი დროშის ორდენები, მედლები. ის არ ყვებოდა, რით დაიმსახურა ეს მაღალი ჯილდოები (ალბათ, მარტო ცოლს თუ უთხრა), მაგრამ იმას კი ხშირად იმეორებდა: **„ომის შემდგომი ყოველი დღე ბედის ნაჩუქარიაო“.** პაპას გივი ერქვა. ახლა პაატამ უნდა აღადგინოს ის მოვლენები, პაპის ჯილდოებთან რომ არის დაკავშირებული და ჩასწვდეს ამ სიტყვების აზრსაც.



ბებიას არ უნდოდა იმ ყუთიდან წერილების ამოღება. არც შვილიშვილის თხოვნას თანხმდებოდა — წერილები შენ წამიკითხეო. მაგრამ ბოლოს დივანზე ჩამოჯდა და წერილებითა და ჯილდოებით სავსე ყუთი მუხლებზე დაიდო. ფრთხილად გახსნა ქიმიური ფანქრით დაწერილი პირველი სამკუთხა ბარათი. ბებიის ცრემლებს, მრავალი წლის წინათ წერილს რომ დასცემია, მელანი გაუხსნია და ზედ მაშინდელი განცდების კვალი დაუტოვებია.

პირველი ბარათი ბებიამ მამაცურად წაიკითხა, მაგრამ მეორისა და მესამის წაკითხვა აღარ უნდოდა. ბოლოს კი თვითონაც გაიტაცა წერილების კითხვამ და უცბათ მის დანაოჭებულ ლოყებზე ცრემლის ნაკადმა დაიწყო დენა. ბებია ტიროდა, ტიროდა მოთქმით.

— ბები, რა დაგემართა?! ნუ ტირი, ჩემო კეთილო, ჩემო კარგო!..

შენ ამას არ ელოდი. ეფერებოდი ბებიას, უკოცნიდი სახეს, ამშვიდებდი. ის კი ცრემლის ღვარს ვერა და ვერ იკავებდა. მერე შენ გამოართვი ბებიას წერილები და ორდენები და მათ შესწავლას შეუდექი.

მეორე დღეს დედაჩემთან გაგაგზავნე.

— შეეხვეწე ბებიას, მოძებნოს თავისი ძველი ხელჩანთა და პაპაშენის წერილები ნაიკითხოს.

მერე სამხედრო ნაწილიდან მიღებული დეპეშაც გიჩვენოს.

მამაჩემს ალექსანდრე ერქვა. ის სტამბაში მუშაობდა. მიყვარდა მასთან სამსახურში მისვლა. ერთად ვსადილობდით ხოლმე სტამბის მუშათა სასადილოში. მისი მეგობრები მიცნობდნენ და მანებივრებდნენ. სტამბაში ვსწავლობდი, როგორ იბეჭდებოდა გაზეთები, წიგნები, ჟურნალები. ერთხელ მამა შინ სასწრაფო დახმარების მანქანით მოიყვანეს; მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა. თურმე ხელის მტევანი უზარმაზარი დაზგის ქვეშ მოჰყოლია. მე მენახა ეს დაზგა: მასში გაზეთების ყალიბებს წნეხავდნენ. ერთიორი თვის შემდეგ სახვევები მოხსნეს და აღმოჩნდა, რომ მამა თითებს ვეღარ ხრიდა.

მამა მოხალისედ წავიდა ჯარში — იმდენი მოახერხა, რომ საექიმო კომისიას დაუმალა თავისი ხეიბრობა. რამდენიმე ხანს სამხედრო მომზადებას თბილისში გადიოდა, იმ სკოლის შენობაში, სადაც ადრე მე ვსწავლობდი, შემდეგ კი იქ ყაზარმა მოაწყვეს. მე ყოველდღე პირველ საათზე ველოდებოდი, თავის ნაწილთან ერთად სკოლის შენობიდან რომ გამოვიდოდა და სადღაც მიემართებოდა. „მამა, მამიკო!“ — მივძახოდი და ვცდილობდი, ჯარისკაცებისთვის ფეხი ამეყოლებინა. მამა იღიმებოდა, ხელს მიქნევდა და კოცნას მიგზავნიდა. „წადი, შვილო, დედაშენს და დაიკოს მიხედე, კარგად ისწავლე!“ — ერთხელ კი შუაღამისას ყველა გაგვაღვიძა და სამუდამოდ გამოგვემშვიდობა. რამდენიმე თვის შემდეგ მისი ნაწილიდან დეპეშა მივიღეთ.

აი ახლა მეორე ბებიასთან, დედაჩემთან გგზავნი.

ბებიამ, როგორც იქნა, მოძებნა თავისი ძველი „პორტმანი“, მაგრამ სათვალე „დაკარგა“.

— უსათვალოდ ვერ წავიკითხავ! თვითონ წაიკითხე, ოღონდ ჩუმად!

სათვალე შენ მისსავე ჯიბეში აღმოაჩინე და ცოტა ხნის შემდეგ ბებია დაგთანხმდა:

— კარგი, წაგიკითხავ!..

ბებია წერილებს კითხულობდა ნელა, ბორძიკით. იგივე სამკუთხა ბარათები, ქიმიური ფანქრით დაწერილი, სიხარულისა და წუხილის აუარებელი დიდ-დიდი ლაქებით... ცოტა ხნის მერე ხმა აუკანკალდა, შემდეგ თვალებს მოსწყდა ცრემლის ნაკადი.

შენ დიდხანს ამშვიდებდი, ეალერსებოდი, კოცნიდი, მაგრამ მისი დამშვიდება არ იყო ადვილი... მერე შინ წამოიღე წერილები, დეპეშა და მათ შესწავლას შეუდექი.

და აი, მაშინ, როცა შენ ყველა წერილის შესწავლა დაამთავრე, გამოიკითხე ორდენების ამბები, წვრილად გამოიძიე, ვინ და როგორები იყვნენ შენი პაპები, სწორედ ამის შემდეგ გკითხე:

— საშინელებაა, არა? ხედავ, რა ყოფილა ომი?..

მერე ჩვენ ბევრჯერ ვისაუბრეთ იმ ამბებზე და შევამჩნიე, როგორ სულ უფრო და უფრო გულისხმიერი და ყურადღებიანი ხდებოდი ბებიების მიმართ. ისიც შევნიშნე, რომ შინ ხშირად მოგყავდა ამხანაგები, უჩვენებდი ორდენებსა და მედლებს, უკითხავდი წერილებს. ბებიებმა მოგანდეს ისინი, ჩაგაბარეს, რომ სამუდამოდ შეინახო.

ამ წერილებმა და ორდენებმა, ბებიების ამ მოულოდნელმა ცრემლებმა და აფეთქებულმა ფარულმა წუხილმა, ამ ორმოცი წლის წინანდელმა ამბავმა შენში ყველაზე კეთილშობილური გრძნობები ააფორიაქა. პაპები, რომლებსაც შვილიშვილების ნახვა არ დასცალდათ, შენს ცხოვრებაში გამოვიდნენ როგორც კეთილი დამრიგებლები და აღმზრდელები. მამაჩემი, რომელსაც დღემდე არ შეუწყვეტია ჩემი აღზრდა და გზის მეკვლეობა, თუმცა დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის და მეც დიდი ხანია მას ასაკით გავუსწარი, ახლაც მხარში ამომიდგა, რომ ადამიანის შექმნაში დამეხმაროს.

პაპები, რომლებსაც შვილიშვილების ნახვა არ დასცალდათ, შენს ცხოვრებაში გამოვიდნენ როგორც კეთილი დამრიგებლები და აღმზრდელები. მამაჩემი, რომელსაც დღემდე არ შეუწყვეტია ჩემი აღზრდა და გზის მეკვლეობა, თუმცა დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის და მეც დიდი ხანია მას ასაკით გავუსწარი, ახლაც მხარში ამომიდგა, რომ ადამიანის შექმნაში დამეხმაროს.

და რომ გაიყოლო თან შენი წინაპრების ხსოვნა, ჩვენ მოგიძღვენით ორი სახელოვანი პაპის ორი სახელი — ალექსანდრე და გივი.

თუ ბიჭები შეგეძინება, დაარქვი მათ ეს სახელები და კარგად გაგებინე ყველაფერი. მათ უნდა იცოდნენ, რა იყო ჩვენთვის ნამდვილი დიდი სამამულო ომი.

ოპერის თეატრის დიდი ანტრაქტი

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე და ტექნიკური დირექტორი ზურაბ ლომიძე იანვრის მოჟამულ ამინდში სამეურნეო ეზოში დამხვდნენ თეატრის რეკონსტრუქცია-განახლების სამუშაოების დასათვალიერებლად მიპატიჟებულ და პატივდებულ კორესპონდენტს.
ორნი, როგორც ერთი გუნდი, ამ საშვილიშვილო საქმეს შეჭიდებულნი და მისი ღირსეულად დაგვირგვინებისთვის თავდადებით მოღვაწენი.
ბატონი დავითი ისტორიით იწყებს:

— 1844 წელს საქართველოში დანიშნულმა კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა, დიპლომატმა გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა მრავალ სხვადასხვა სახის კულტურულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. 1845 წელს მან სტავროპოლიდან მოიწვია მსახიობთა დასი იაცენკოს ხელმძღვანელობით, რომელთაც სპეციალური სცენა გამოუყო. ამ მიზნით იაცენკომ მანეჟის შენობა გამოიყენა, რომელიც გადააკეთებინა საოპერო სცენად და შეიქმნა თეატრის დირექცია ცხრა კაცის შემადგენლობით. დასმა სპექტაკლების გამართვა 1845 წლის 20 სექტემბრიდან დაიწყო. წარმოდგენები კვირაში ორჯერ იმართებოდა და უმთავრესად ვოდევილებისა და კომედიებისაგან შედგებოდა.

162 წლის წინათ, 1851 წლის 12 აპრილს თბილისში პირველი ოპერა დაიდგა. შენობა, სადაც სპექტაკლი წარმოადგინეს, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე, იმ მიწაზე იდგა, რომელიც ქართველ დიდვაჭარს ეკუთვნოდა — დიდი რუსი მომღერლის — თეოდორე შალიაპინის მამას. ამაზე ლაპარაკი კომუნისტების დროს აკრძალული იყო.

— რომ შალიაპინი ქართველი იყო?

— ქართული სისხლისა და გენის.

(ესეც ერთი დამატებითი შტრიხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დღეს განსაკუთრებით გააქტიურებული პრობლემისთვის).

— პრემიერის მეორე დღეს („ლუჩია დი ლამერმური“ იყო პირველი სპექტაკლი) თბილისელები, კინტოებიდან მოყოლებული და სერიოზული ქალაქელებით დამთავრებული, ამ ოპერის არიებს ქართულად მღეროდნენო, წერდა იმდროინდელი პრესა.

— ასე აიტაცეს ქართველებმა იტალიური ოპერა, — **ამატებს ზურაბ ლომიძე.**

— და დღეს, — **განაგრძობს ბატონი დავითი,** — მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი საოპერო ცენტრების სცენებზე ქართველი მომღერლები წამყვან პარტიებს მღერიან. ახალგაზრდა თაობა — 20-25 წლისანი. 4 იანვარს პატრიარქის 80 წლის იუბილესა და აღსაყდრებისადმი მიძღვნილ კონცერტზე მათი ერთი ნაწილის მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს ამ შემოქმედთა საჯარო დათვალიერებად, რამაც დაგვარწმუნა, რომ უბრწყინვალესი ხმები გვყავს მსოფლიოში „მივლინებული“.

— წარმომიდგენია, საოპერო ხელოვნების როგორი ზეიმი გველოდება, როცა განახლებული თეატრი გაიხსნება და ვარსკვლავთცვენის დიდი სეზონი დაიწყება თბილისში.

— ეს ხელოვნება „მოძრავია: მომღერალი დღეს თუ პარიზის ოპერის სცენაზე დგას, ხვალ და ზეგ პრაღაში, სოფიაში, ნიუ იორკში, თბილისში, ტოკიოში მღერის. ასეთია ამ ხელოვნების თავისებურება და ხიბლი: ერთი და იგივე სპექტაკლი სხვადასხვა სოლისტის მონაწილეობით ახალი და ახალი წახნაგით გაბრწყინდება.

მეტროპოლიტენ ოპერის დირექტორის — პიტერ გელბის სიტყვებს გავიმეორებ: საქართველო არის ხმების დაუშრეტელი ჭა. უამრავი ქართველია დღეს მეტროპოლიტენ ოპერაში, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს პირველ სცენაზე.

— საქართველოში ოპერის თეატრი რუსეთის იმპერიის პერიოდში დაარსდა. ხომ ასეა?

— რუსეთის იმპერიამ დააფინანსა, დააფუძნეს იტალიელებმა. ბარბიჩინი, პირველი ვიოლინო, დირიჟორი, რომელიც ჩამოჰყვა იტალიურ ოკუპაციან დასს, დასთან ერთად დარჩა საქართველოში. სოლისტები ხან სანკტ-პეტერბურგში ჩადიოდნენ, ხან დიდ თეატრში, კრასნოდარშიც მღეროდნენ. დასის ერთ-ერთი წევრის შვილთაშვილის შვილთაშვილი ქალბატონი დღესაც მუშაობს ჩვენი თეატრის არქივში.

(მორიგი ხანძრის შემდეგ, 1886 წელს აშენებულ თეატრში დადგმული პირველი ოპერა გლინკას „ივან სუსანინი“ იყო. უდიდესი მომღერლები გამოსულან ამ სცენაზე. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ერთ-ერთი პრესტიჟული და წამყვანი იყო უზარმაზარ საბჭოთა იმპერიაში).

მთელი პლეადა დიდი ქართველი მომღერლებისა მოსკოვის დიდი თეატრის სცენას წლების განმავლობაში ამშვენებდა. ჭაბუკიანის ბალეტი ბრწყინავდა).

— დღეს, სამწუხაროდ, მილიონნახევრიან თბილისში ბევრმა არც კი იცის, სად არის ოპერა.

ერთ-ერთი მიზეზი ის „დიდი ანტრაქტია“, რომელიც თეატრის რემონტით არის გამოწვეული. ეგებ უთხრათ თბილისელებს, ბატონო დავით, რა ეტაპზეა ამჟამად მიმდინარე სამუშაოები?

— ორ-ნახევარი წლის წინათ თეატრი სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით დაიხურა. ამას წინ უსწრებდა ათწლიანი მოსამზადებელი სამუშაო პროექტებზე, რომელთა განხორციელება გადაწყვეტდა ამ ისტორიული შენობის პრობლემებს. მათი უარყოფითი გავლენა წლიდან წლამდე მატულობდა.

— რა პრობლემებზეა ლაპარაკი?

— თუნდაც — სინესტეზე, განსაკუთრებით, — საძირკველში, სარდაფებში. ამას ემატებოდა უბნის წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ავარიულობა. თუმცა სხვა თეატრებთან შედარებით ჩვენი შეიძლება უკეთეს მდგომარეობაშიც კი იყო.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამ შენობის „შიდა სათავსის“ საფუძვლიანი გადაკეთება მოითხოვა. 19 მეტრის სიღრმეზე შენობის გარშემო გაკეთებულია 80 სანტიმეტრის სიგანის მქონე „დერეფანი, რომელშიც ჰაერი მოძრაობს და სინესტეს „ებრძვის“. მთელი ნაგებობა დღეს უკვე დგას ბეტონის კაფსულაზე, რაც შეუძლებელს ხდის დანესტიანებას.

— ასეთი პრინციპული მნიშვნელობისაა ამ პრობლემის მოხსნა?

— რა თქმა უნდა, რადგან იგი საფრთხეს უქმნიდა თვით შენობის მდგრადობას, აკუსტიკას, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, დეკორაციებს და ა.შ. 1978 წელს დაგეგმილი იყო გარშემო ტერიტორიის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, მაგრამ არ მოხერხდა, და გამოვიდა ისე, რომ მთელი მომსახურე ტექნიკური პერსონალი ამ ერთ შენობაში იყო შეხიზნული.

ახალი პროექტით, ძირითად შენობაში დარჩება მხოლოდ შემოქმედებითი ნაწილი და ადმინისტრაცია ტექნიკურ პერსონალთან ერთად ახალ, 8 ათასი კვადრატული მეტრის შენობაში გადავა, სადაც განთავსდება ჩვენი საწარმოები, მთელი მომსახურება, დაწყებული ბუღალტერიით, დამთავრებული ტექნიკოსებით, იქ განლაგდებიან ყველანი, ვისაც ვერ ხედავს მაყურებელი, მაგრამ უდიდეს საქმეს აკეთებენ, რათა სცენაზე უმაღლეს დონეზე განხორციელდეს შემოქმედებითი კოლექტივის ჩანაფიქრი.

ამ ყველაფერმა კი მოითხოვა უდიდესი მოცულობის სამუშაოების გათვლა და პედანტური სიზუსტით შესრულება.

200-მდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტია ამ საქმეში ჩართული — ვენტილაცია-კონდიციონერებიდან დაწყებული, სანტექნიკით, ელექტროგაყვანილობით, გადახურვით და ა. შ. დამთავრებული.

გადახურვა, ვიტყოდი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გვაქვს — სპილენძისაა, რაც არქიტექტურისა და მშენებლობის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. მახსოვს, როცა ბატონმა ბიძინამ იკითხა, შენობა რით უნდა გადახუროთო, ბატონმა ლერი მეძმარიაშვილმა უთხრა, უკეთესი იქნება, თუ სპილენძით გადავხურავთო. ბატონი ბიძინა დაუფიქრებლად დაეთანხმა, ღირებულებამ არ დაგაბრკოლოთ, ოღონდ არ შემარცხვინოთო.

— ეტყობა, ოპერის თეატრის რეკონსტრუქცია მისთვის პრესტიჟის საქმეა.

— რა თქმა უნდა. ესეც და ყველაფერი, რაც თეატრში კეთდება, გამორჩეულია უმაღლესი ხარისხით.

თუნდაც ფასადის რესტავრაცია, რაც ძირითადად დასრულდა და თბილისელებს საშუალება აქვთ, შეაფასონ, კარგია თუ ცუდი.

— აღდგენილია პირვანდელი სახე, ოღონდ ახალი სუნთქვით, — **ამატებს ზურაბ ლომიძე**, — ამას წინ უსწრებდა დიდი მოცულობის და მრავალმხრივი კვლევითი სამუშაოები ამ კულტურული ძეგლის შესწავლისა და აღდგენის შეუცდომლად წარმართვისთვის. ამ სახის სამუშაოები საუკუნეში ერთხელ ტარდება.

— ესე იგი, კეთდება საშვილიშვილოდ.

— შეცდომის დაშვების უფლება ამიტომაც არ გვქონდა. 10 წელიწადი ამ საქმეს შეალიეს პროფესიონალებმა.

(ეს ის დროა, როცა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ბედი ბეწვზე ჰკიდია, ავი წლები დგას, 90-იანი წლები მეოცე საუკუნის, რისი გახსენებაც



მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები

„ახალგაზრდა რეფორმატორებს“ მკრეხელობად მიაჩნდათ და მიაჩნიათ.

სწორედ იმ წლებში ოპერის თეატრს სათავეში ედგა ზურაბ ლომიძე და რაღაც სასწაულით შეძლო ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ცენტრის (ძეგლისაც) დანაკარგების გარეშე გამოტარება.

დღეს საყვარელიძე-ლომიძის ტანდემი ოპერის რეიკარნაციის (ოპერადვე) ჭაპანს ერთობლივად არის შეჭიდებული. ორი თაობის — მამათა და შვილთა ერთობის სახიერი მაგალითია, რომლის გახლეჩა-დაპირისპირებას, ამოძირკვას ასე მონდომებით ცდილობდა ყოფილი ხელისუფლება.

მაგრამ ამაოდ დაშვრა).

— და დადგა დრო ფინანსების მოძიების.

— და სწორედ ამ დროს საქართველოს მოევლინა ადამიანი, მეცენატი, რომელმაც დაიწყო თბილისის თეატრების რესტავრაცია, — **განაგრძობს დავით საყვარელიძე,** — ეს იყო. ახლა ყველამ იცის, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ საკუთარ თავზე აიღებს ოპერის განახლების სამუშაოთა დაფინანსებას. მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი თეატრის მმართველი, მაგრამ ვიცი, რომ ბატონებს — ზურაბ ლომიძეს და ჯანსუღ კახიძეს წინასწარ ჰქონდათ მოლაპარაკება ბატონ ბიძინასთან ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

— როდის იყო, ხომ არ დააზუსტებთ?

— 2000 წელს. მაშინ ჩაეყარა საფუძველი ამ იდეას და დაისახა კიდეც მისი განხორციელების გზაც. ბიძინა ივანიშვილმა თავი დაადგა დიდებულ საქმეს. მოსამზადებელი სამუშაოები სრულად რომ დამთავრდა, დავიკეტეთ ორ-ნახევარი წლის წინათ და მას შემდეგ წამითაც არ შეჩერებულა პრაქტიკული საქმე. მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ტელევიზიებით სრულიად გაუგონარი ჭორი და აშკარა სიყალბე ვრცელდებოდა...

— რომ ბიძინა ივანიშვილმა ხელი აიღო ოპერაზე და რემონტი აღარ მიმდინარეობს?..

დავით საყვარელიძე

— დიახ. სიყალბე იყო ისიც, რომ თითქოს ცდილობდნენ მოენახათ ვიღაც და იმ ვიღაცით ჩაენაცვლებინათ ივანიშვილი.

— აბა, ის რა იყო, „მაესტროს“ ეკრანზე ოპერის მეგობართა საბჭოს ხელმძღვანელად ერთი ავი ბიზნესმენი რომ გამოაჩინეს, რომელმაც არ იცოდა „ნაბუქოს“ ავტორის ვინაობა?!

— აგიხსნით. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისგან დამოუკიდებლად არსებობს ამ თეატრის მეგობართა ფონდი. თეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხას სახელმწიფო არ გვაძლევს. ეს დამოუკიდებელი ფონდი ჯანსუღ კახიძისა და ზურაბ ლომიძის დაარსებულია და მე მხოლოდ აღვადგინე. ამ ფონდს წელიწადში 300 ათასი ლარის ოდენობით დაეხმარა ბიზნესკომპანია, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით კეზერაშვილი. ამ ფულით ჩვენ 22 ახალგაზრდა გავუშვით ლა სკალაში, ჩავატარეთ ფესტივალი, დავდგით სპექტაკლები, მათ შორის, „ლუჩია დი ლამერმური“ — ბათუმში და ა. შ. ამაზე დაიხარჯა სპონსორის მიერ გაღებული თანხა, მაგრამ მასმედიამ ისე წარმოადგინა, რომ თითქოს ამ ბიზნესმენს უნდა ჩაენაცვლებინა ბიძინა ივანიშვილი. ამას სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს, რაც ბატონმა ბიძინამაც შესანიშნავად იცის. თეატრის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია 40 მილიონამდე ჯდება. რომელი კეზერაშვილი გაწვდება ამ საქმეს?!

— მაშ, საიდან ასეთი მოარული ხმები?

— ჩემი ბრალია, ალბათ, რომ შეუფერებელ დროს მოგვიწია ამ ფაქტის საჯაროდ გამოტანა და გაშუქება, წინასაარჩევნო პერიოდში. ჩვენ იძულებულები ვართ, მეცენატებისგან მოვიზიდოთ თანხები.

— არ გყოფნით ბიძინას ფული?!

— ბიძინას ფული მთლიანად რემონტს ხმარდება, მაგრამ თეატრის 600-კაციან დასს, რომელსაც უნდა გადავუხადოთ ხელფასები, სჭირდება მუსიკალური ინსტრუმენტები და მათი შეკეთება, საკუთარი სცენის არქონის გამო დარბაზების დაქირავება, სპექტაკლების დადგმის, დეკორაციების, რეკვიზიტის ხარჯები და ა. შ., არ ჰყოფნის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, რაც საჭიროების მხოლოდ 40 პროცენტს ფარავს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თეატრის მსახიობებს, მათ შორის, ორკესტრისასაც, ბიძინა ივანიშვილი ე. წ. სტიპენდიებით ეხმარებოდა, თუმცა შარშან, ანუ 2012 წელს ეს დახმარება არ მიუღიათ.

— რა თქმა უნდა, რადგან ამას ამომრჩეველთა მოსყიდვად ჩაუთვლიდნენ და 80-მილიონიან ჯარიმას, რომელიც ივანიშვილს დააკისრეს, მოგელაძე და მისი ჩინოვნიკები საკმარისად არ მიიჩნევდნენ. არბენინებდნენ მაშინ

თქვენი დასის წევრებს დაკითხვაზე კონტროლის პალატაში.

— ერთი სიტყვით, იძულებული ვიყავით, კერძო სექტორში მოგვეძებნა ფული. აქ კი, ვინ როგორ იცნობს ოპერას, ამის მიხედვით სპონსორს ვერ შევარჩევდით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩაივლიდა წინასაარჩევნო ქარტეხილები და ოპერის სახელი უწინდელივით სუფთა და კრისტალური დარჩებოდა.

— ბატონო დავით, კეზერაშვილი ერთი შემოტანით შეგეწიათ 300 ათასი ლარით და ამით დამთავრდა მისი მეცენატობა?

— დიახ, ამით დამთავრდა. მისი კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მივმართე წერილობითი თხოვნით და ერთჯერადი დახმარება გაგვიწიეს.

— მაშ, ვინ შეარჩია ეს კაცი ოპერის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარედ? დამეთანხმეთ, რომ ამ საზოგადოების თავმჯდომარემ კი უნდა იცოდეს ვერდის ოპერაა „ნაბუქო“ თუ ვინმე სხვისა.

— არც ხელმძღვანელია, არც თავმჯდომარე. ერთ-ერთი წევრია. უფრო ზუსტად, — იყო. ჩვენ გვაფინანსებს „ჯეოსელი“, „კორსტანდარტ ბანკი“, კავშირგაბმულობით უფასოდ უზრუნველგვყოფს „სილქნეტი“, გვაფინანსებს პატარა კომპანია „მარიგოლდი“, ეროვნული მუზეუმი და სხვ. ამ სუბიექტებისგან შედგება ჩვენი მეგობრების წრე — ოპერისა და ბალეტის განვითარების ფონდი,



ოპერა სპილენძის ფილებით გადაიხურა

რომელშიც დახმარების თავისი წილი შემოიტანა კეზერაშვილმა.

— არადა, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, გამოდიოდა, რომ კეზერაშვილმა ჩაანაცვლა ივანიშვილი — ახლა ეს კაცი ააყვავებს ამ საქმესო. ძალიან ცუდად გაჟღერდა ეს და უკიდურესად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა ფართო საზოგადოებაში.

— ოთხი საელჩოა გაერთიანებული ჩვენს მეგობართა წრეში. მათ შორისაა ამერიკის საელჩოც. მსოფლიოში მიღებული ფორმაა. ეს პრობლემის ერთი მხარეა.

მეორე მხარე კი ისაა, რომ თითზე ჩამოსათვლელია პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, რომლებიც ერკვევიან საოპერო ხელოვნებაში. დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველა მათგანის ოჯახის წევრებმა იარონ საოპერო სპექტაკლებზე, დაესწრონ საბალეტო წარმოდგენებს. ეს აამაღლებს საერთო კულტურულ დონეს.

— ევროპულობისკენ სწრაფვა ამასაც გულისხმობს.

— უფროსი თაობა საერთოდაც და ამ თვალსაზრისითაც უფრო განათლებულია და საოპერო ხელოვნების უფრო დიდი სიყვარულით გამოირჩევა, ვიდრე საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლახან გამოსული ახალგაზრდა თაობა. მთელ მსოფლიოში ბიზნესმენები აცხოვრებენ საოპერო თეატრებს. ოპერას ქვეყნის კარიბჭეს უწოდებენ. კულტურულ კარიბჭეს. ჩვენ გვყავს გენიოსი კომპოზიტორები, წარმატებული მომღერლები, მაგრამ ხალხი მათ ნაკლებად იცნობს...

— გინდათ, თქვათ, რომ კეზერაშვილის „გამობრწყინებამ“ გარკვეულად ცუდ დღეში ჩაგაგდოთ?

— კეზერაშვილის ფიასკოს შემდეგ არც ერთ ბიზნესმენს არ სურს ჩვენთან მოსვლა: არც ერთი ბიზნესმენი (ორიოდ გამონაკლისის გარდა) არაა გარკვეული საოპერო ხელოვნებაში და ეშინია, რომ იმ კაცივით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

— ასეთი სიტუაციიდან ორი მარტივი გამოსავალი არსებობს: პირველი, წაიკითხონ პოპულარული ლიტერატურა ოპერაზე, მეორე, უშურველად გასწიონ სპონსორობა, ყოველგვარი პიარის გარეშე.

— ვიმეორებ: ფონდი, რომელზეც ვილაპარაკეთ, კეზერაშვილის დაფუძნებული არ არის, მისი თავმჯდომარე საერთოდ არავინაა, მით უფრო, აღნიშნული ბიზნესმენი. ეს ფონდი თავის დროზე დააარსეს ბატონმა ჯანსუღ კახიძემ და ზურაბ ლომიძემ — თეატრის მაშინდელმა დირექტორმა.

ჩემი შეცდომა ისაა, რომ შეუფერებელ დროს მომიწია საზოგადოების წინაშე ამ ამბის გამოტანა. ალბათ, ან ადრე უნდა მეთქვა, ან საერთოდ ხმა არ უნდა ამომეღო.

ასეთი მეზობლობა გარემონტებულ ოპერას არ უხდება

იმდენად შორსა ვარ პოლიტიკისგან, რომ ვერ გავითვალისწინე ის ზიზღი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ხალხს ჰქონდა, და ის შედეგი, რომელიც სააკაშვილთან დაახლოებული კეზერაშვილის ოპერასთან დაკავშირებით ხსენებას შეიძლებოდა ჩვენთვის მოეტანა.

— ოპერის სახელი, ისევე, როგორც კეისრის ცოლის სახელი, ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს... მოდით, აქ დავუსვათ წერტილი ამ კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც უკვე ჩავლილია.

შეგეკითხებით: რა გაკეთდა დღეის მდგომარეობით თეატრის შენობის რესტავრაციისა და სარემონტო სამუშაოების კუთხით?

— სამშენებლო სამუშაოების 80 პროცენტი უკვე შესრულებულია. საძირკვლის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ — უდიდესი შრომაა აქ ჩადებული, ხელით შრომა, რადგან ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია. ათასი წელი შენობის საძირკველს ვერაფერი დააზიანებს. ასევე ასწლეულებს გაუძლებს სპილენძის გადახურვა და ამაზეც უკვე ვთქვით. ფასადის რესტავრაცია დასასრულს უახლოვდება. შენობის შიგნით ასევე მთავრდება სამუშაოები მუსიკოსებისთვის და მოცეკვავეებისთვის ისეთი კომფორტის შესაქმნელად, რომლის მსგავსიც, ხელი მომაჭერით, ლა სკალაშიც კი არ აქვთ. სარეპეტიციო გაკეთდა ისეთი, როგორსაც ნებისმიერი თეატრი ინატრებს. თანაც, ეს გაკეთდა ისტორიული შენობის შიგნით არსებული, ზოგ შემთხვევაში გამოუყენებელი ფართების, უმეტესად ხელახლა დაგეგმილი, შემოქმედებითი პროცესის მაქსიმალურად გათვალისწინებული პროექტირების საფუძველზე.

ისტორიული ავთენტურობა და თანამედროვე კომფორტი ორგანულადაა შერწყმული.

მაყურებელთა დარბაზი ვიზუალურად არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ჭერი და კედლები მოიხატება 24-კარატიანი ოქროთი.

ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირი ჯდება სცენის მექანიზაცია, განათება და გახმოვანება. ამ სამუშაოებს შეასრულებს გერმანულ-ავსტრიული კომპანია, რომელმაც გაიმარჯვა ფონდ „ქართუს“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში. როგორც ვიცი, წლეულს დაიდება მასთან კონტრაქტი და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ სამუშაოების დამთავრებას 11 თვე დასჭირდება. დაინერგება უახლესი ტექნოლოგია. ყველაფერი კომპიუტერიზებული იქნება. ხარისხი — კოსმოსური ტექნოლოგიების დონეზე. მოსამზადებელი გვეყოლება კადრები ამ ტექნოლოგიის ასათვისებლად და ექსპლუატაციისთვის.

ბოლო შტრიხები

განახლებული ფასადი

ეს რომ გაკეთდება, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ლა სკალა შურის თვალით შეგვხედავს.

— ამ ყველაფერს ავტორი ხომ ჰყავს?

— ეს არის ბატონი ლერი მეძმარიაშვილი. 1975 წელს ოპერის თეატრი რომ დაიწვა, მისი ხელმძღვანელობით აღდგა შენობა. ახლაც იგი ატარებს მთელს ამ სამუშაოს.

ამ პერიოდში, როცა საკუთარი ჭერის უქონლობა გვიდგას, ჩვენი მუსიკალური დირექტორის — ჯანლუკა მარჩიანოს კავშირების წყალობით, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ საზღვარგარეთ დიდ გასტროლებზე მივემგზავრებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დასის შემოქმედებითი ზრდისთვის.

* * *

2 იანვარს ჩინეთში გასტროლებიდან დაბრუნდა ოპერის დასი. ამ წარმატებულ გასტროლებზე, რომელიც პეკინის და ექვსი სხვა ქალაქის პრესტიჟულ სცენებზე გაიმართა, ცალკეა სასაუბრო. ამ ტურნეს მოჰყვება გასტროლები ლიბანში, ბეირუთში, ესტონეთში.

მოკლედ: ოპერა შენდება, ოპერის დასი მოგზაურობს და ორივე მიმართულებით წარმატებებია.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

P.S. — როდის დამთავრდება ოპერის რემონტი? — ვეკითხები დავით საყვარელიძეს.

— როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი იტყვის.

გიორგი ერისთავი — 200

ქართული კულტურის მესაჭე

გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავლობას ეკუთვნოდა. მის წინაპრებს ჯერ ქსნის საერისთავო რეზიდენციაში — სოფელ ახალგორში უცხოვრიათ, შემდეგ კი სოფელ ოძისში გადასახლებულან. გ. ერისთავი დაიბადა სოფელ ოძისში 1813 წელს. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1824-25), შემდეგ მცირე ხნით — მოსკოვში, კერძო პანსიონში. 1832 წელს მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და 1834 წელს ქ. ვილნოში გადაასახლეს. გადასახლებაში ყოფნისას გიორგი ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და დაუახლოვდა მოწინავე პოლონურ ოჯახებს. 1842 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა. ერთხანს სახელმწიფო სამსახურში იყო, ხოლო 1854 წლიდან სოფ. ხიდისთავში დასახლდა.

გიორგი ერისთავი იყო უდიდესი ეროვნულ-კულტურული წამოწყების ინიციატორი: პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1852-53).

გიორგი ერისთავის პოეზიაში მნიშვნელოვანია ეროვნულ-პატრიოტული მოტივები. სატირულ-იუმორისტულ ლექსებში იგი კიცხავს ე. წ. მაღალი საზოგადოების ზნეობრივ გადაგვარებას. **გიორგი ერისთავმა ასევე ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა 1850-54 წლებში. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ თეატრს, მოძებნა, აღზარდა და დაავაჟკაცა მსახიობთა და დრამატურგთა კადრები. გ. ერისთავის დრამატურგია და მის მიერ საფუძველჩაყრილი თეატრი გახდა ქართული კულტურის შემდგომი წინსვლის საყრდენი.**

თავის დრამატულ თხზულებებში („დავა“, „გაყრა“) ერისთავმა ასახა თანამედროვე ქართული საზოგადოების მანკიერებები — საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებით გამოწვეული ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევის ბუნებრივი შედეგი — დაცემის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის სრული უნიათობა, მაღალი წრის ზნეობრივი დაკნინება და განათლებული ახალგაზრდობის უნაყოფო მისწრაფებები. გიორგი ერისთავმა ქართულ სინამდვილეში პირველმა ასახა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები, მათი სიძუნწე, მომხვეჭელობა და მექრთამეობა, მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა ანგარება და ბიწიერება. თავისი დრამატურგიით ერისთავმა სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ლიტერატურაში. მის სკოლას განეკუთვნებიან ცნობილი დრამატურგები: ზ. ანტონოვი, გ. დვანაძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.

გიორგი ერისთავმა „ვეფხისტყაოსანი“ დრამად გადააკეთა, ხოლო კ. ლაფჩინსკისთან ერთად პოლონურ ენაზე პროზაულად თარგმნა. მანვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნა ა. მიცკევიჩის, ა.

გიორგი ერისთავმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესიული თეატრი

პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. ჰიუგოს, პ. ბერანჟეს და სხვ. ლექსები. ერისთავს ეკუთვნის თარგმნილი და გადმოკეთებული პიესები („უჩინმაჩინის ქუდი“, „თილისმის ხანი“, „ყვარყვარე ათაბაგი“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“).

მისი თხზულებები 1852-53 წლებში ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა. ცალკე წიგნაკებად გამოიცა „გაყრა“, „ძუნწი“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „თილისმის ხანი“, ხოლო „დავა“ 1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ დაისტამბა.

1854 წელს გიორგის გარდაეცვალა მეუღლე და უდედოდ დარჩა პატარა დავითი. ასეთ ოჯახურ მდგომარეობას აუძულებია გიორგი, თბილისი დაეტოვებინა და თავის საყვარელ საქმიანობასაც მოსწყვეტოდა.

1856 წელს გ. ერისთავმა მეორედ იქორწინა, ცოლად შეირთო დავით თარხან-მოურავის ასული — მართა. მათ შეეძინათ ქალიშვილი, მაგრამ ბავშვი სამწლინახევრის ასაკში გარდაეცვალათ. ამ წლებში გ. ერისთავს უხდებოდა თავისი მამულების მართვა, რადგან უფროსი ძმა (როსტომი) უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო უმცროსი (ივანე) — გადასახლებული. შემოსავალიც კარგი ჰქონია, მაგრამ ადრე აღებული ვალების გასტუმრებას უნდებოდა. 1862 წელს გ. ერისთავი ევროპაში გაემგზავრა. მოგზაურობაში დაჰყო ოთხი თვე და ძალზე ნასიამოვნები დაბრუნდა. თავისი მოგზაურობა მას აღწერილი აქვს დღიურებში, რომელსაც ეწოდება „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდგან“. „მოგზაურობა“ არაა სრულად მოღწეული, დღიურები წყდება 1862 წლის 13 აგვისტოს, როცა პოეტი ვენეციაშია.

სამხატვრო გალერეის გიგლიოთეკაში. სხედან (მარცხნიდან): ქეთევან მაღალაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ირაკლი თოიძე. დგანან (მარცხნიდან): გიგო ნათიძე, გიორგი ერისთავი, დარაჯი კაჯელაშვილი, მოსე თოიძე. 1930 წ.

60-იანი წლებისათვის ქართული კულტურის მესაჭე გ. ერისთავი თითქოს დავიწყებას მიეცა. მაგრამ მისი სახელი მკითხველ საზოგადოებას კვლავ მოაგონა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც „საქართველოს მოამგეში“ გამოაქვეყნა კომედია „შეშლილი“ (მეორე ნომერში), ლექსი „თანამგზავრი“ (მეხუთე ნომერში) და გ. ერისთავის მიერ თარგმნილი ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (მეთორმეტე ნომერში).

1864 წლის 9 სექტემბერს (ძვ. სტილით) გიორგი ერისთავი სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა ქ. გორში. გ. ერისთავის გარდაცვალების გამო გორში დიდძალი ხალხი ჩამოსულა, მათ შორის პოეტის ყრმობის მეგობარი გრ. ორბელიანიც.

დაკრძალულია იკორთის მონასტერში, ახლანდელი ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე.

სცენა სპექტაკლიდან „უჩინმაჩინის ქუდი“

დეა სვანიძე

ქართული მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე

110 წელი შესრულდა ქართული მუსიკის მრავალმხრივი მოამაგის, თვალსაჩინო კომპოზიტორის, დირიჟორის, საზოგადო მოღვაწის ГРИГОЛ КИЛАДЗЕ (1902-1962) დაბადებიდან.
გ. კილაძის სახელთან დაკავშირებულია 20-50-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა. იგი ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შემოქმედებითი ფიგურაა, რომლის საუკეთესო ქმნილებებმა დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული აქტუალობა.

პირველ რიგში მარცხნიდან: ს. ბარხუდაროვი, დ. არაყიშვილი, დ. შოსტაკოვიჩი, გრ. კილაძე, გრ. კოკელაძე; მეორე რიგში მარცხნიდან: ი. ტუსკია, ნ. გუდიაშვილი, პ. ხუჭუა, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.

ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. კილაძე ეკუთვნის ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების უფროს თაობას. შალვა თაქთაქიშვილთან, იონა ტუსკიასთან, ვანო გოკიელთან ერთად **გ. კილაძე ქართული ინსტრუმენტული მუსიკის წამომწყებად გვევლინება.** მან თავიდანვე მიიპყრო ყურადღება როგორც კომპოზიტორმა-სიმფონისტმა და მისი საორკესტრო ნაწარმოებები ქართული მუსიკის ისტორიაში შევიდა, როგორც ამ ჟანრის პირველი საინტერესო ნიმუშები.

გრიგოლ კილაძე დაიბადა 1902 წელს ბათუმში. მუსიკის შესწავლა დაიწყო თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს. იგი ცნობილ ქართველ კომპოზიტორთან და პედაგოგთან ანდრია ყარაშვილთან სწავლობდა ვიოლინოს დაკვრას, შემდეგ უკრავდა გიმნაზიის მოსწავლეთა ორკესტრში, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა.

გ. კილაძის, როგორც მუსიკოსის, ჩამოყალიბება განუხრელად არის დაკავშირებული „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ დაარსებასთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა ჯერ ამ საზოგადოების დაფუძნებაში, შემდეგ კი მის საქმიანობაში, უკრავდა საზოგადოებასთან არსებულ სიმფონიურ ორკესტრში, აქვე გადადგა პირველი ნაბიჯები როგორც კომპოზიტორმა და დირიჟორმა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი მომავალი.

ფართო მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება გ. კილაძემ როგორც კომპოზიტორმა ჯერ კიდევ 1925 წელს მიიპყრო, როდესაც შექმნა თავისი **„ქართული სიუიტა“ ორკესტრისათვის. ეს ნაწარმოები ქართული მუსიკის ისტორიაში შევიდა როგორც ინსტრუმენტული ჟანრის პირველი თვალსაჩინო ნიმუში.**

„ქართულმა სიუიტამ“ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული მიმზიდველობა.

შემოქმედებით მუშაობას გ. კილაძე უთავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1931 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც სპეციალური ინსტრუმენტირების კლასს განაგებს. 1941 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა. საქართველოს კომპოზიტორების პირველ ყრილობაზე 1937 წელს გ. კილაძე აირჩიეს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ. წლების მანძილზე იგი პარალელურად მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში როგორც კომპოზიტორი და სამუსიკო ნაწილის გამგე.

გ. კილაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ პერიოდის და მთელი ომამდელი **ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მიღწევა იყო სიმფონიური პოემა „განდეგილი“ (1937 წ.), რომლის შექმნისთვის ავტორს — პირველს ქართველ კომპოზიტორთა შორის — სახელმწიფო პრემია მიენიჭა.** ეს იყო დიდი ფორმის პირველი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები ქართულ მუსიკაში. ილიას პოემის ღრმა ფილოსოფიური შინაარსი კომპოზიტორმა მხატვრულად განზოგადებული ფორმებით გახსნა.

სამამულო ომის შემდეგ გ. კილაძე კვლავ ინტენსიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. 1938-1941 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორია. 1941 წელს კი მას ნიშნავენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორად. 1945-1953 წლებში იგი კვლავ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ხელმძღვანელობს. 40-იან წლებში კომპოზიტორმა შექმნა რამდენიმე მონუმენტური ფორმის ნაწარმოები, მაგალითად, ოპერა „ლადო კეცხოველი“, რომელიც 1941 წლის თებერვალში დაიდგა.

სამამულო ომის მრისხანე ამბებს კომპოზიტორი გამოეხმაურა თავისი პირველი „გმირული“ სიმფონიით.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა გ. კილაძის ბალეტ „სინათლეს“, რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. ბალეტში შეთავსებულია ფანტასტიკური და რეალურ-ყოფითი სახეები, ლირიკული და გმირულ-ვაჟკაცური მოტივები. მუსიკის მიმზიდველმა მხარეებმა — მისმა კოლორიტულობამ, სახოვანებამ ხელი შეუწყო ბალეტის გამარჯვებას. **1948 წელს გ. კილაძეს ბალეტის დამდგმელ ჯგუფთან ერთად სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ბალეტის მუსიკამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული მიმზიდველობა.**

ბალეტი „სინათლე“

დიდი მუსიკალური ფორმის სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ორატორია და მეორე სიმფონია, კომპოზიტორს ეკუთვნის, აგრეთვე, რამდენიმე ქართული კინოფილმის მუსიკა („უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“ და „მფრინავი მღებავი“).

საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის გ. კილაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

წლების მანძილზე გ. კილაძე სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ საოპერო სტუდიას ხელმძღვანელობდა. 1953 წლიდან მისი თაოსნობით და დირიჟორობით, სტუდიის სცენაზე დაიდგა მთელი რიგი საოპერო სპექტაკლები, მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ვერდის „ტრავიატა“ და სხვ. აქ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი სადირიჟორო ნიჭი და ოსტატობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი საოპერო სტუდიის მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი.

ფართო ასპარეზი ჰქონდა გ. კილაძის, როგორც სიმფონიური დირიჟორის, მოღვაწეობასაც. **ერთხანს იგი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო.**

მრავალმხრივი ქართველი მუსიკოსის — კომპოზიტორის, დირიჟორისა და საზოგადო მოღვაწის გ. კილაძის სახელი სამუდამოდ დარჩა ქართული მუსიკის მატიანეში.

დეა სვანიძე

ბალეტი „სინათლე“, ჯოჯოხეთის სცენა

ვლადიმერ ბექაური — საბჭოთა საიდუმლო შეიარაღების შემქმნელი

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა ჯარები უკან იხევდნენ და გერმანელები იკავებდნენ რუსეთისა და უკრაინის ქალაქებს, ყველგან შეინიშნებოდა ერთი საყოველთაო მოვლენა — დროდადრო ხდებოდა შენელებული მოქმედების ნაღმების აფეთქება, თანაც გერმანელების მიერ დაკავებულ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებზე — აეროდრომებზე, სამხედრო ბანაკებში, ხიდებზე, სამხედროების დროებით საცხოვრებლებში, საგანგებო წვეულებების დროს — რჟევიდან ლუგანსკამდე. სიტუაციის ანალიზის შემდეგ სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე — ნაღმები ფეთქდებოდა რადიოსიგნალების მეოხებით, ხოლო აფეთქებების მომენტს განსაზღვრავდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ადამიანები. ჰიტლერის მთავარბანაკში დაიწყეს ზრუნვა შენელებული მოქმედების ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისთვის, რაზეც მათ მთელი ერთი წელი დაკარგეს, ხოლო კიდევ ერთი წელი — საკუთარი წარმოების მოდელების შექმნაზე. რადიონაღმების წარმოება გერმანელებმა მაინც ვერ ააწყეს, რის გამოც ამ ნაღმების გამოყენება მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში შეძლეს; ამასობაში კი საბჭოთა არმია მათ იყენებდა უკან დახევის მთელი პერიოდის განმავლობაში.
რადიოფუგასების გამოგონება საბჭოთა სამხედრო ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი გახლდათ, ხოლო მისი უშუალო შემოქმედი — ქართველი კაცი, ვლადიმერ ბექაური, რომლის მიერ შექმნილ იარაღს „ბექაურის საღობურე ნაღმი“ ეწოდებოდა.

ვლადიმერ ბექაურმა 1903 წელს ფრიადებზე დაამთავრა თბილისის მიხეილის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი და მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა რევოლუციურ და საგამომგონებლო მუშაობას — 1905 წელს მონაწილეობდა ხაშურის საორთქლმავლო დეპოს რევოლუციურ გამოსვლებში, რის გამოც იდევნებოდა პოლიციის მიერ; ამავე წელს შექმნა ბომბების დასამზადებელი არალეგალური ლაბორატორია და დაამზადა თვითნაკეთი ქვემეხი, რომლის ლულად ცისტერნიდან ნავთის გადასასხმელი მილი გამოიყენა. ამ ქვემეხმა თავისი როლი შეასრულა მუშების შეტაკებისას კაზაკებთან.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, იატაკქვეშეთიდან გამოსული ბექაური აღმოჩნდა პეტერბურგში და დაიწყო სამხედრო ხასიათის გამოგონებებზე მუშაობა, რომლებიც სამხედრო უწყების არაშორსმჭვრეტელი მოხელეების მიერ ვერ იქნა ჯეროვნად შეფასებული. თუმცა თავის გატაცებებზე მას ხელი არ აუღია: ამ პერიოდს განეკუთვნება მისი მთელი რიგი გამოგონებებისა, მათ შორის, აღსანიშნავია — **ავტომატური დამცავი სიგნალიზაციის ხერხი, რომლის პატენტი შეისყიდეს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და იაპონიაში; ბავშვთა მექანიკური სათამაშოების მრავალსახოვანი მოდელები...**

1921 წლის 15 აგვისტოს, მთავრობის დადგენილებით და პირადად ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი მანდატით, შეიქმნა განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო სპეციალური დანიშნულების სამხედრო გამოგონებებისთვის ვლადიმერ ბექაურის ხელმძღვანელობით. სამუშაოებისთვის გამოყოფილ იქნა 150 ათასი შვეიცარიული ფრანკი, ბექაურს დაუქვემდებარეს 27 ინჟინრისა და 50 მუშა-ხელოსნისგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი.

ტექნიკური ბიუროს შესაქმნელად ძირითადი ბაზა იყო პირველი მსოფლიო ომის დროს პეტროგრადში აგებული სამხედრო უწყების ცენტრალური ელექტროტექნიკური ლაბორატორია. მალე ვ. ი. ბექაური სათავეში ჩაუდგა ცენტრალურ ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას. შემდეგ ეს ლაბორატორია შეუერთდა ტექნიკურ ბიუროს და ეწოდა „განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო“. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ

მეტი სიმწვავით დაისვა წითელი არმიის მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე აღჭურვის საკითხი. ერთ-ერთი ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო, შეესრულებინა ეს ამოცანები, იყო განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო.

ამრიგად, უკვე 1921 წლის დამლევისათვის ყველა საჭირო პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელებულიყო მუშაობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელშიც აღნიშნული იყო ტექნიკურ ბიუროსთან „ცალკე სახელოსნოს“ შექმნის საჭიროება. ამ სახელოსნოს ბექაურმა უწოდა **ეკსმანი — ექსპერიმენტული სახელოსნო მეცნიერული კვლევისათვის.**

ეკსმანი მიმოწერას აწარმოებდა უცხოეთის ფირმებთან, დებდა მათთან ხელშეკრულებებს, საზღვარგარეთ გზავნიდა თავის წარმომადგენლებს, რომლებსაც თვალყური უნდა ედევნებინათ შეკვეთების შესრულების მიმდინარეობაზე და მიეღოთ მზა მოწყობილობა, აწარმოებდა გადახდას ვალუტით და სხვ. 1922 წელს თვით ბექაურიც გაემგზავრა გერმანიაში, ესტონეთსა და შვეიცარიაში მის მიერ გამოგონებული სისტემის — სასიგნალიზაციო აპარატურის დამზადების შეკვეთის შესრულებაზე თვალყურის სადევნებლად.

ეკსმანის მეშვეობით განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ უცხოეთიდან მიიღო დიდძალი საზომი ხელსაწყოები, სპეციალური მანქანები და სხვა ფრიად ძვირფასი სამეცნიერო და ლაბორატორიული მოწყობილობა ამერიკის, ინგლისისა და გერმანიის ფირმებისგან, აგრეთვე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს სამუშაოთა თემატიკა სამხედრო ტექნიკის დარგში ძალზე მრავალფეროვანი იყო. იგი ეხებოდა ნაღმებისა და ტორპედოების, წყალქვეშა ცურვის, კავშირგაბმულობის, საპარაშუტო ტექნიკის, ტელემექანიკისა და სხვა დარგებს. შემდგომ დაამუშავეს იარაღის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ნაღმები, ტორპედოები წყალქვეშა ნავების ასაფეთქებლად, განსაკუთრებული ფუგასები, რადიოს საშუალებით მართული კატარღები და სხვ. ამასთან ეს მხოლოდ რიგითი საინჟინრო დამუშავებები კი არ იყო, რომლებსაც უმნიშვნელო გაუმჯობესებები შეჰქონდა სამხედრო შეიარაღების არსებულ ნიმუშებში, არამედ იარაღის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების ძირფესვიანი სრულყოფა.



1924 წელს, მაგალითად, დაამუშავეს ნაღმი, რომელსაც მანძილზე ბგერის საშუალებით მართავდნენ, თხიერი გაზით მომუშავე ტორპედოები, თვითმოძრავი ნაღმებით ხომალდების დაზიანების ხერხი და რიგი სხვა აქტუალური ტექნიკური პრობლემები.

სსრ კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველოში 1928 წელს გამართული ერთ-ერთი თათბირის ოქმში მითითებულია, რომ ინტერესს იწვევს განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს 50-ზე მეტი ნამუშევარი, მათ შორის: ლითონის მასის აღმოჩენის ხერხი, შიდაწვის ძრავით მოძრავი ტორპედო, ტორპედოს საჰაერო საჭე, ხანგრძლივად მცურავი გადამღობი ნაღმი და სხვ.

იმ დროისათვის განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ უკვე დაამთავრა წყალქვეშა ნავებისათვის განკუთვნილი ტორპედოების ნიმუშები, სატორპედო აპარატი, შიდასაესკადრო კავშირგაბმულობა და დაამუშავა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკურ აღჭურვასთან დაკავშირებული იმ პერიოდისათვის სხვა აქტუალური საკითხები.

ლითონმძებნი

1926 წელს გამოცდილ იქნა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში შექმნილი ლითონმძებნი, რომელიც აღნიშნავს ლითონის არსებობას წყალქვეშ; ხელსაწყო ისე შეიძლება მოიმართოს, რომ შეძლებს აღნიშნოს ლითონის მასა ნავარაუდევი მოცულობით; ხელსაწყო არ იძლევა მცდარ ჩვენებებს, შეიძლება მას უსიტყვოდ ვენდოთ; ხელსაწყოს უნარი შესწევს, არა მარტო აჩვენოს ლითონის არსებობა მოცემულ ადგილზე, არამედ განსაზღვროს მისი რაოდენობაც, რითაც თავიდან აიცილებს მყვინთავების წყალში ხშირ ჩაშვებას; ხელსაწყოს დახმარებით შესაძლებელია, ზუსტად დადგინდეს მეტალის მასის ადგილმდებარეობა, ამასთან აუცილებელი აღარ არის დიდი მოედნების გამოკვლევა, რაც თვალსაჩინოდ დადასტურდა 1926 წლის 18 ნოემბერს წყალქვეშა ნავის აღმოჩენის დროს, როდესაც წყალში ჩაშვებული მყვინთავი პირველსავე შემთხვევაში ნავზე მოხვდა; ხელსაწყოს მუშაობა დამოკიდებული არ არის ამინდზე; მას შეუძლია ძებნის წარმოება მაშინაც, როცა ყველა სხვა ხერხის გამოყენება უშედეგოა; ხელ-

საწყო საშუალებას იძლევა ლითონი დიდ სიღრმეზე აღმოვაჩინოთ, რაც ტრალის სიგრძეზეა დამოკიდებული.

1926 წელს ორი კვირის განმავლობაში ხელსაწყოს საშუალებით ნაპოვნია მრავალი ჩაძირული ხომალდი და წყალქვეშა ნავი სხვადასხვა სიღრმეზე.

რადიოს მეშვეობით აფეთქებათა მართვის საშუალებანი იმდენად ახალი იყო, რომ ბევრს არც კი სჯეროდა მათი რეალობა. ამის მიუხედავად, სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე ამ გამოგონებას თავდაცვისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, დიდ დახმარებას უწევდა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს და მოითხოვდა, რომ დაეჩქარებინათ ხელსაწყოთა მაკეტებისა და ნიმუშების დამუშავება.

საცდელი ნიმუშების დასამზადებლად პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ თავდაპირველად ერთ-ერთ ქარხანას დაავალა, გამოეყო ორი სახელოსნო, ხოლო თვით განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში შეიქმნა სამაკეტო სახელოსნოები, სადაც მაღალკვალიფიციური მუშების შტატი ჰყავდათ. მაგრამ ეს საწარმოო ბაზა როდი შეესაბამებოდა იმ ამოცანებს, რომლებიც დასახული ჰქონდა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს. ამიტომ ბექაურმა თანდათანობით მიაღწია იმას, რომ **ლენინგრადში ააგეს იმ დროისათვის საუკეთესო ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი სპეციალური საექსპერიმენტო ქარხანა**. მალე დაარსდა, აგრეთვე, განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს მოსკოვის ფილიალი საექსპერიმენტო ქარხნითურთ, ხოლო შემდეგ — ფილიალი სევასტოპოლში.

ამრიგად, განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროსთან შეიქმნა მძლავრი საწარმოო ბაზა. ამასთან ერთად, მზადდებოდა გამოსაცდელი ბაზაც.

როგორც ზემოთ ითქვა, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა ვ. ი. ბექაურისათვის შეექმნათ შესაძლებლობანი, **გამოეყენებინა სანაოსნო ბაზები ცდების საწარმოებლად.** ასეთი შესაძლებლობა იყო ფინეთის ყურეში, ლადოგისა და ონეგის ტბებზე. შემდეგ კი შავ ზღვაზეც შეიქმნა კარგად მოწყობილი გამოსაცდელი ბაზები. განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს განკარგულებაში იყო ბევრი კატარღა და ხომალდი სპეციალური ნავსადგომით. მათ შორის: ყოფილი საესკადრო ნაღმოსნები, ტრაილერები, დამხმარე გემები, სანავსადგურო ყინულმჭრელები, საყვინთო ბაზა.

ვ. ი. ბექაურის ინიციატივით განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროსთან მოწყობილ იქნა საფრენგამოსაცდელი ბაზა, სადაც იყო რამდენიმე თვითმფრინავი და ჰიდროთვითმფრინავი, ანგარები და სხვ.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო გადაიქცა მძლავრი საწარმოო ბაზისა და სამეცნიერო ლაბორატორიების მქონე საერთო საკავშირო მნიშვნელობის უდიდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებად.

ვ. ი. ბექაური შესანიშნავი ორგანიზატორი იყო და შეძლო განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში შეედუღაბებინა მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივი. ამ კოლექტივში იყვნენ განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს სამეცნიერო ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ვ.თ. მიტკევიჩი, პროფესორები, მასწავლებლები და ნიჭიერი ინჟინრები, რომლებიც ამუშავებდნენ განსაკუთრებული თავდაცვითი მნიშვნელობის ფრიად საჭირო ტექნიკას.

ამის შედეგად განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს სამხედრო გამოგონებების დიდი უმრავლესობა გადაეცა არმიის შეიარაღებას.

რადიოთი მართული ფუგასი

პირველი გამოცდა მოეწყო 1925 წლის ივლისში, ლენინგრადის სანიჩბოსნო ნავსადგურში ტრაულერ „მიკულადან“, რომელიც აფეთქების ადგილიდან 25 კილომეტრით იყო დაშორებული. გამოცდას დაესწრნენ მ.ვ. ფრუნზე, საზღვაო ძალების უფროსი და კომისარი ვ.ი. ზოფი, საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ი. ს. უნშლიხტი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ბ. მ. შაპოშნიკოვი და სხვები. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

შემდეგი გამოცდა, რომელსაც ესწრებოდნენ კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ორჯონიკიძე და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, კვლავ ლენინგრადში განხორციელდა 1925 წლის ნოემბერში.

1927 წლის მარტში მოხდა ფუგასის შორ მანძილზე ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოცდა. მართვის სადგური მოწყობილი იყო ლენინგრადში, აფეთქების ადგილიდან 170 კილომეტრის დაშორებით. ხელსაწყოები ჩაფლული იყო წყლით სავსე ორმოებში, 15 მეტრის სიგრძის ანტენები თოვლზე ეწყო, ფუგასურ ხელსაწყოთა სიგრძე 60 მეტრს შეადგენდა. კომისიამ დანიშნულ ადგილზე დადგა სამი ცალკეული და ერთიც ჯგუფური ხელსაწყო. აფეთქების მართვა წარმოებდა წინასწარ შემუშავებული პროგრამით, რომელიც ითვა-

ლისწინებდა 6 აფეთქების მოხდენას, მათგან 3 უნდა ყოფილიყო ცალკე აფეთქება მოკლე ტალღაზე და 3 ჯგუფური ხელსაწყოდან — გრძელ ტალღაზე.

გამოცდის შესახებ კომისიის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ **„არახელსაყრელ პირობებში შორ მანძილზე ჩატარებულმა ცდებმა შესანიშნავი შედეგები მოგვცა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა ხელსაწყოების შეუფერხებელი მუშაობა“.**



პროგრამა ითვალისწინებდა დაბრკოლებებისგან ხელსაწყოების დაცვის გამოცდასაც. დაბრკოლებების შესაქმნელად დადგეს ხელსაწყოებით მართული სადგურის ტალღის ზონაში მომუშავე რადიოსადგურები. გამოცდის აქტში აღნიშნული იყო, რომ, **„მთელი რიგი დამატებითი გართულებების მიუხედავად, აღნიშნული სადგურების ჩამხშობი და ხელისშემშლელი ზემოქმედებანი ხელსაწყოების მუშაობაზე სრულებით არ ახდენენ გავლენას, ხელსაწყოები პასუხობდნენ ზუსტად და მყარად და მხოლოდ თავისი მართვის სადგურის სიგნალებს იღებდნენ“.**

1927 წლის დამდეგს განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ დაამზადა რადიოთი აფეთქებების მართვისათვის საჭირო ხელსაწყოების ნიმუშები. ხელსაწყოებს მათი გამომგონებლების ბექაურისა და მიტკევიჩის გვარების საწყისი ასოების მიხედვით „ბემი“ ეწოდა. 1927 წლის 2 თუ 3 მაისს ამ ხელსაწყოების მოქმედება ნაჩვენები იყო მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სამხედრო პოლიგონზე, მათი მართვა კი წარმოებდა ლენინგრადიდან განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს რადიოსადგურის საშუალებით, რომელსაც განაგებდა ინჟინერი ა. ა. ლიულკა. ყველა ხელსაწყო ამოქმედდა დანიშნულ დროს. გამოცდას დაესწრნენ მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ე. რუძუტაკი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომის ერთ-ერთ დადგენილებაში 1927 წელს განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს მოღვაწეობას ასეთი შეფასება ეძლევა: **„განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ არსებობის ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა წითელი არმიის შეიარაღების ახალ საშუალებათა დამუშავების დარგში, ძირითადად სამხედრო ფლოტში არსებული ნიმუშების სრულყოფა-გაუმჯობესებაში. რიგი ხელსაწყოებისა და დანადგარებისა უკვე პრაქტიკულად გამოიყენება. შექმნილია მძლავრი სამეცნიერო დაწესებულება უხვად აღჭურვილი ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, რადიოსადგურითა და ა. შ. აქვთ საკუთარი საზღვაო ხომალდები და სხვა დამხმარე საშუალებები. პირადი შემადგენლობა მაღალკვალიფიციურია“.**

განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს განსაკუთრებული სექცია მუშაობდა ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის, აკუსტიკისა და სხვა მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაზე. **1926-1927 წლებში დადებითი შედეგები იქნა მიღებული სექციის მიერ დამუშავებული გამოსახულების რადიოთი შორ მანძილზე გადასაცემი მოწყობილობის, ინფრაწითელი სხივების გამოსაყენებელი დანადგარების, თვითმფრინავების რადიოსადგურებისა და სხვა ნიმუშების გამოცდისას.**

ვ. ი. ბექაურს ახასიათებდნენ, როგორც ნიჭიერ გამომგონებელსა და არაჩვეულებრივად მიმზიდველ ადამიანს, რომელიც ფანატიკურად იყო გატაცებული საგამომგონებლო საქმიანობით, რითაც ბექაურმა დაიმსახურა ხელმძღვანელი ამხანაგებისა და ყველა მასთან მომუშავის სიყვარული და პატივისცემა.

ვ. ი. ბექაურს ძალიან აფასებდა და დიდ პატივს სცემდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. სხვა გამოჩენილ გამომგონებლებთან — ა. ი იაკოვლევთან, ვ. გ. გრაბინთან, ა. ი. მიქოიანთან და სხვებთან ერთად ვ. ბექაურიც არა ერთხელ ყოფილა მიწვეული ი. ბ. სტალინის სახლში.

რადიოტალღების საშუალებით მანძილზე აფეთქება

ბექაურის ეს გამოგონება კომისიის მიერ უკვე მიღებული იყო, მაგრამ იმ დროისათვის ისეთ ზემოულოდნელობად ითვლებოდა, რომ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გადაწყვიტა მის რეალობაში დარწმუნებულიყო. ვ.ი. ბექაურის ახალი გამოგონებების გამოცდისას ისინი დარწმუნებულან, რომ **აპარატებს უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.**

განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო რვა წლის განმავლობაში გადაიქცა მსხვილ საცდელ-საგამომგონებლო დაწესებულებად,

რომლის განკარგულებაში იყო მრავალი ლაბორატორია, ორი ქარხანა, სპეციალური სახელოსნოები, საზღვაო და საჰაერო საშუალებები ყოველგვარი ცდების საწარმოებლად. რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან არსებული საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი კომიტეტის თავმჯდომარე თავის 1929 წლის პატაკში სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარსა და სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს მოახსენებდა, რომ **„განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო კავშირში ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე უნარი შესწევს, გადაწყვიტოს სერიოზული ტექნიკური ამოცანები. ბექაურის, როგორც გამომგონებლისა და ამ დაწესებულების შემქმნელის, დამსახურება ამ მიმართულებით სათანადოდ უნდა დაფასდეს“.** პატაკში აღნიშნული იყო, რომ განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს ნამუშევრებს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ტექნიკის განვითარებაში და რომ ამ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

თავისი არსებობის განმავლობაში განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ დაამთავრა დამუშავება და გამოცდა და შეიარაღებაში გადასცა 11 ნიმუში, საარმიო გამოცდაზე — 17, დამუშავების დამთავრების სტადიაში იმყოფებოდა — 7, პირველდაწყებით დამუშავებაში კი — 14.

გამოცდები წარმოებდა შორეულ აღმოსავლეთშიც, შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელდროშოვან არმიაში. მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავშირგაბმულობისა და ელექტრომექანიკის სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტიდან იქ გაგზავნილ სპეციალისტთა ჯგუფი გახდა ძირითადი ბირთვი მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში პირველი სპეციალური დანიშნულების ცალკეული ასეულისა, რომელიც შეიარაღებული იყო „ბემის“ ტიპის ხელსაწყოებით.

შემდგომში კავშირგაბმულობის სამხედრო აკადემიის ლაბორატორიამ და სადენ საშუალებათა ცენტრალურმა ლაბორატორიამ შეიმუშავეს რადიოთი აფეთქების მართვის ხელსაწყოთა სხვა ტიპებიც, რომლებიც „ბემის“ ხელსაწყოებისაგან განსხვავდებოდა არა მარტო აფეთქებებისათვის საჭირო სიგნალების შიფრებით, არამედ მოქმედების პრინციპებითაც.

აფეთქებათა რადიოთი მართვის ხელსაწყოები, როგორც აღნიშნულია საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბ. ვ. ბიჩევსკის წიგნში „ქალაქი-ფრონტი“, გამოყენებული იყო დიდი სამამულო ომის პერიოდშიც. ომის დასაწყისისათვის საინჟინრო ჯარებს ჰყავდათ სპეციალური ქვეგანაყოფები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ აფეთქებათა რადიოთი მართვის საშუალებებით.

მეორე დიდი გამოგონება

ვ.ი. ბექაურის მეორე დიდი გამოგონება იყო წითელი არმიის საჰაერო-სადესანტო ოპერაციათა ტექნიკური უზრუნველყოფისათვის აპარატურის შექმნა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის თავდაცვის მდგომარეობის შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წინადადება მისცა, გაეძლიერებინა სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესების სამუშაოთა ტემპი და არსებულის მოდერნიზაციასთან ერთად შეექმნათ საცდელი ნიმუშები, რომლებიც შემდგომში არმიაში დაინერგებოდა. ცენტრალური კომიტეტი სახავდა აგრეთვე მძლავრი საჰაერო ფლოტის შექმნის ამოცანას. პირველ რიგში წამოწეული იყო ტექნიკური რეკონსტრუქცია. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის განსაკუთრებით დაძაბული შრომის წლები. ომის წინა ხუთწლედების განმავლობაში მუშაობდა ათობით საკონსტრუქტორო ბიურო ვ. ა. დეგტიარევის, ვ. ვ. ტოკარევის, ვ. გ. ფედოროვის, ბ. ტ. შპიტალნის, ნ.ა. კუჩერენკოს, ა.ნ. ტუპოლევის, ს.ა. იაკოვლევის, ს.ვ. ილიუშინის, ვ.გ. გრაბინისა და სხვათა ხელმძღვანელობით. კონსტრუქტორთა და გამომგონებელთა ამ შესანიშნავ პლეადას ეკუთვნის ვ.ი. ბექაურიც.

გენერალო-მაიორი დ. ნ. ნიკიშევი თავის საინტერესო მოგონებებში გადმოგვცემს, თუ როგორი გულმოდგინებით მუშაობდა ვ. ბექაური ისეთი **სპეციალური სამარჯვების კონსტრუქციების შექმნაზე, რომელთა საშუალებით თვითმფრინავებზე სამხედრო ტექნიკას ჰკიდებდნენ.** ნიკიშევი წერს: „ბექაურმა შექმნა სპეციალური სამრჯვები, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ „იუგ-1“ და „ტბ-1“ ტიპის თვითმფრინავებზე ჩამოეკიდათ „ჰარლეი დავიდსონის“ მარკის ეტლიანი მოტოციკლები, ხოლო „უიგ-1“ ტიპის თვითმფრინავის ფუზელაჟის ქვეშ — რადიოსადგურიანი ავტომობილი, ჯავშნიანი ავტომობილი ან „ტ-27“ ტიპის მსუბუქი ტანკი.

ვ. ი. ბექაურის მიერ შექმნილმა სამარჯვებმა გაამართლა თავისი დანიშნულება. 1930 წლის შემოდგომაზე ლენინგრადის მახლობლად გამართულ წითელი არმიის მანევრებზე, სადაც განხორციელდა საჰაერო დესანტის კომბინირებული გადასხმა, შესანიშნავი შეფასება მიიღო ამ სამარჯვებმა.

მანევრების გარჩევამ ცხადყო, რომ, როგორც სარდალმა ტუხაჩევსკმის აღნიშნა, **საძირკველი ჩაეყარა საჰაერო-სადესანტო ჯარების შექმნას.** ამას უნდა მოჰყოლოდა სპეციალური საჰაერო-სადესანტო შენაერჩებისა და ავიაციის ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლებოდა, დიდი მასშტაბით განეხორციელებინა დესანტის გადასხმის ოპერაციები. **უკვე 1931 წლიდან წითელ არმიაში გაჩნდა პირველი საჰაერო-სადესანტო ბრიგადები...“**

„ბემის“ გამოცდების აქტიური მონაწილე, განსაკუთრებული



ტექნიკური ბიუროს ერთ-ერთი უხუცესი თანამშრომელი ვ. გ. შუბერტი იგონებს: **„30-იან წლებში წარმოეგდა ობიექტების გამოცდა ამხ. ტუხაჩევსკის თანდასწრებით. მე და ვ.ი. ბექაური ერთად მივფრინავდით. ფრენის დროს იგი მეტად აღელვებული და შეშფოთებული იყო მომავალი გამოცდების გამო, თითქოს პირადად აბარებდა გამოცდას. როცა გამოცდის დასაწყებად აპარატურა მოვამზადე, ბექაურმა თვითონ განახორციელა დასკვნითი ოპერაცია. ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავით, როცა შევიტყვეთ, რომ ყველაფერს ჩინებულად ჩაევლო. მალე გამოცდის შემდეგ ვ.ი. ბექაურმა მაჩვენა ამხ. ტუხაჩევსკის მიერ ნაჩუქარი დამბაჩა წარწერით: „საუცხოო მსროლელს წარმატებებისათვის“.**

1929 წლის აპრილში ვ. ი. ბექაურმა მოხსენებითი ბარათით აცნობა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარსა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს — კ. ე. ვოროშილოვს **თვითმფრინავებით არტილერიის შორ მანძილზე გადასროლისათვის ჩატარებულ მუშაობაზე.** ეს სამუშაოები განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს ინიციატივითა და სპეციალისტების მოწონებით 1923 წელს დაიწყო. 1924 წელს განხორციელებულმა ცდებმა და ჩამოსაკიდ მოწყობილობათა გამოცდამ დაადასტურა ამოცანის შესრულება და „ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ავიაციის გამოყენების სრულიად ახალი (როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში) დარგის განვითარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ომების პირობებში ფრონტის ფართო მონაკვეთზე სამოქმედოდ“.

რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ ამ საკითხზე კონკრეტული წინადადება მიიღო.

მეორე წერილში, რომელიც ნ. პ. გორბუნოვის სახელზეა დაწერილი, ბექაური აცნობებს, რომ **„ავიაციისათვის იარაღის შექმნის დარგში განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ გადაჭრა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა. თუ უცხოეთის ლიტერატურას დავუჯერებთ, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებზე ადრე განხორციელდა საშუალებები რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლიდან ტორპედების ჩამოსაყრელად“.** 1927 წლის აგვისტოში მოეწყო ტორპედების 200-მდე საცდელი ჩამოყრა. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს თემატიკაში საყურადღებო ადგილი ეკავა **რადიოტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესების საკითხებს**. ბექაურის ხელმძღვანელობით დამუშავდა რიგი ორიგინალური კონსტრუქციებისა. მათ შორის, მაგალითად, **პიეზოკვარცული რადიომიმღები, რომელიც ხასიათდებოდა ტალღის სიგრძის მაღალი სტაბილურობით გადამცემ მოწყობილობებში და მაღალი სელექტიურობით მიმღებ მოწყობილობებში, რის მეშვეობითაც მიღწეულია საიმედო დაცვა ტელემექანიკური აპარატებისა, აგრეთვე რადიოკავშირის აპარატებისა როგორც გათვალისწინებული, ისე შემთხვევითი დაბრკოლებებისაგან. ეს ნამუშევარი აღიარებულ იქნა იმ დროისათვის ძვირფასად და საინტერესოდ.**

ვ. ი. ბექაურს ეკუთვნის 50-მდე მნიშვნელოვანი გამოგონება ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მათ შორის ელექტროგანათების დარგში — სპეციალური დანიშნულების ელექტრონათურების გაუმჯობესება, ცვლადი დენის გენერირება, შორ მანძილზე ელექტროსიგნალების გადაცემა, ახალი კონსტრუქციების საკონტროლო აპარატები და სხვ.

ვ. ბექაურის გამოგონებებმა, მისმა თავდადებულმა უანგარო მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ვ.ი. ბექაურის დამსახურება. **1932 წლის 7 აპრილს იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით. წითელი არმიის 15 წლისთავის დღესასწაულზე, 1933 წელს, დაჯილდოვდა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.**

1932 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიქმნა მსოფლიოში პირველი ნაღმების რადიოთი მართვის საჯარისო ქვედანაყოფები, რომელთა ძალისხმევამ 1941 წელს არაერთი ზიანი მიაყენა გერმანულ არმიას. მაგრამ ამ დროისათვის უნიკალური იარაღის გამომგონებელი უკვე აღარ იყო ცოცხალი — ის 1937 წელს დააპატიმრეს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის და 1938 წელს დახვრიტეს. რეაბილიტირებულ იქნა 50-იან წლებში.

დარეჯან ანდრიაძე

კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავლობა

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ბევრი თავდადებული მამულიშვილია, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ხშირად ჩრდილშია მოქცეული. მათ რიცხვს მიეკუთნება გიორგი ვეზირიშვილი — ერეკლე მეორეს თანამედროვე და მისი უერთგულესი თანამებრძოლი.

პირველად ვეზირიშვილები იხსენიებიან იოანე ბატონიშვილის შრომაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, რომელშიც ვკითხულობთ: **„ესენი არიან ძველადვე სპარსნი და მუნებურნი ბეგის გვარისანი და რომელიცა ყიას-ბეგ ვეზეირად წოდებული იყო მეფისა როსტომისა თანა განუშორებელ და მიიღო ქართლისა მეფობაი როსტომ მეფესა წელსა ქრისტეს აქეთ 1634-სა ესე ყიას ბეგ ვეზირად თანა ჰყვა და მიღებული იყო თავადად. ისინიცა გვარითვე იყვნენ ვეზირიშვილები და ბეგები და ესრეთვე ნადირაშასა დროსაცა იყო საქართველოსა შინა ვეზირიშვილი იბრაიმ, თანაშემწე მეფისა თეიმურაზისა, შემდგომ მათ სიკვდილისა იბრაიმისა მიიღეს მისთა შვილთა ქრისტიანობა მართმადიდებლობისა სარწმუნოებისა, რომელნიც მოსახლეობენ ქართლში“.**

ზემოთ მოხსენიებული იბრაიმის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: „მოვიდა იასაული ხელმწიფისა და დაებარებინა ქართლსა და კახეთს ოსმალები, მაშინვე წაასხეს მირზა-იბრეიმა, რომელი იყო ვეზირი ქართლის ბატონისა, ვექილები, ვეზირი მუსტაფა, ყოველივე მოხელენი ქართლისა და კახეთისანი. თვითონ გააკეთა არბაბი ქართლსა და კახეთსა, ორასი თუმანი დააწესა და ქართლის ბატონის ვეზირს მირზა-იბრეიმს, ვექილებს, ვეზირ მუსტაფას ყველა, თუ რამ ჰქონდა, წაართვა, თვალების დათხრა ბრძანა, დათხარეს ყველას და ეგრეთვე ბრმანი ქართლში გაისტუმრა“.

ვეზირიშვილების სპარსულ წარმოშობას აღიარებს თვით გიორგი ვეზირიშვილი 1803 წლით დათარიღებულ „თავადის გიორგი ვეზირიშვილისაგან უმდაბლეს მოხსენებაში“ (გამოაქვეყნა შ. მესხიამ 1940 წელს), სადაც იგი აღნიშნავს: **„მამაჩემი ვეზირი ნადირ ყენისაგან წარმოგზავნილა საქართველოდ მეფე თეიმურაზსთან ვეზირად და ამ ხარისხითა და მოადგილეობით ემსახურებოდა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის“.**

აშკარაა, რომ მირზა-იბრეიმი ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზს და ერეკლეს, რისთვისაც დაისაჯა ნადირშაჰისაგან ასე სასტიკად 1747 წელს. ამ დროისათვის გიორგი მცირეწლოვანი გახლდათ. მადლიერმა ერეკლემ გიორგი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა და 1772 წელს უბოძა თავადობა და საკუთრებაში გადასცა სოფელი ოსიაური (აღნიშნული წყალობის სიგელის ასლი სხვა საბუთებთან ერთად ინახება ქალბატონ დოდო ვეზირიშვილის ოჯახში, ხოლო დედნები ცნობილმა იურისტმა, ბატონმა შალვა ვეზირიშვილმა თავის დროზე გადასცა საქართველოს ისტორიის მუზეუმს).

ერეკლემ გიორგი ვეზირიშვილს, სოფელ ოსიაურის გარდა, ნასახჩიბაშის ნაიბობაც, ანუ საიდუმლო პოლიციის უფროსის თანამდებოდაც უბოძა. გიორგი ვეზირიშვილის ერთგულებისა და მხედრული სიმამაცის შესანიშნავი დასტურია 1796 წლით დათარიღებული სიგელი, რომელიც უფლისწულ ვახტანგს (ალმასხანი) ეკუთვნის.

„წყალობითა ღვთისათა ჩუენ, დავითიან ბაგრატოანმან ყოვლის საქართველოს მეფის ირაკლის მეორისა ძემან — ვახტანგ, ალმასხან, ესე წყალობისა და მოწმობის წიგნი ამისად ნიშნად გიბოძეთ შენ, თავადს ვეზირიშვილს გიორგის ნასახჩიბაშის ნაიბს: წელსა ჩღტე აღამაჰმადხან ურიცხვის ჯარით საქართველოს აღსაოხრებლად ტფილისს დიდად მახლობლად მოვიდა. მაშინ სეკდემბერს ათს, ორშაბათს დღეს მათის უმაღლესობის ბრძანებით კრწანისის ბაღებთან თოფხანასთან ვიდეგით და მოხდა იმგვარად, რომ ჯარი არ გვახლდა, ასე მცირედ ვიყავით, რომ იმ



სოფელ ოსიაურის ხედი

ორს მაიორსა და ხუთსა ექვს თოფის გარდა თორმეტი თუ იქნებოდნენ ჩემის ამალით და სხვით. მოგვიხდა ყიზილბაშის ჯარი ორპირად ერთი დასტა სოღანლუღის გზიდამ და მეორე კრწანისს ზემოთ კლდეებზედ იმ დროს ჩვენთან მოხველ და, მანამდის ქალაქიდამ ჯარი გამოგვეშველებოდა, ერთი საათი მეტი გასწია. შეგვექმნა დიდი ბრძოლა და შენ იმ ომში დიდად მხნედ და სახელოვნად გაისარჯე, და ამჟამად მოხველ და ამ შენის სისხლით ნამსახურობის დაუვიწყებლობას დაგვეაჯე".

„და ჩვენ არ დავიწყების მეთანამდებენი, არამედ სხვათაცა მოთხრობათ მოვალენი გაძლევთ შენით დიდის სიმხნისა და გარჯის მოწამენი, რომ ჩვენ და სახლი ჩვენი დიდად მოვალენი ვართ შენნი, და მოიმედეც იყავ მაგიერის წყალობისა..."

აღნიშნული სიგელიდან კარგად ჩანს გიორგი ვეზირიშვილის დიდი დამსახურება 10 სექტემბრის ბრძოლაში, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. კრწანისის გარდა გიორგი ვეზირიშვილს სხვა ბრძოლებშიაც გამოუჩენია თავი. აი რას ვკითხულობთ გიორგი XII-ს სიგელში:

„... ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულსა და თავდადებით მრავალგვარად ნამსახურს, ვეზირიშვილს გიორგის შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

მის უწინარეს ქალაქის პირში საბურთალოზედ ოსმალთა და ლეკის ჯარი მოვიდა და ჩვენ გავედით იმათზე საომრათ. და დიაღ ცოტას შემოვხვდით იმათ და შენც იქ ჩვენთან დაესწარ და სახელოვნად ხელი გამოღევი და სისხლის დასათხევად ჩვენ წინ თავი შენი არ დარიდე და იმჟამად ხვთის მოწყალებით ვსძლიეთ იმ მტერთ და უკუვაქციეთ. შემდგომად მისსა კურთხეული მეფე ბატონი მამაჩვენი ერევანზედ ჯარით წაბრძანდა და ერევანს შემოდგა და იქაც ერევნის ციხესთან პირველად ჩვენ ომი მოგვიხდა და იქაც სახელოვნად გაისარჯე და ჩვენს წინ შენი თავი არ დაზოგე სასიკვდილოდ.

ამ შენის ერთგულებისა და სახელოვნად დამსახურების სამაგიეროდაცა და კურთხეულის მეფის, ბატონის მამის ჩვენისაგანაც წყალობა გჭირდა და ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ ნასახჩიბაშის ნაიბობა და წელიწადში 10 თუმანი და შესაფერი ულუფა ყოველს წელიწადს ჩვენის სარქარიდამ. ჩვენი მოხელეები უნდა მოგცემდნენ მიუკლებლად. გქონდეს და გებედნიეროს ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შინა მოგეხმაროს და არაოდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ, გვარისა ჩვენისა მოსაქმე მოხელენო, ჩვენგამ ბოძებული წყალობა ესე თქვენს ასე დაუმტკიცეთ და ნურვინ შლად ხელჰყოფთ თვინიერ შეწევნისა..."

გიორგი ვეზირიშვილის აგებულია საბრძოლო კოშკი სოფელ ოსიაურში. 1929 წელს ს. მაკალათიამ აღნიშნული კოშკიდან ჩამოვარდნილი წარწერიანი ფილა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკის განყოფილებას გადასცა. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „... **აღვაშენე კოშკი ესე დროსა დიდებულისა ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლის მეორისასა მისგან ნაწყალობელსა საყოფელსა ამას შინა წყალობითა მან ვეზირიშვილმან თვესა მაისსა, წელსა ჩღჟზ. ვინცა წაიკითხოთ, შენდობა მიბრძანეთ".**

გიორგი ვეზირიშვილმა თავი დიპლომატიურ ასპარეზეც გამოიჩინა — სწორეს ის აწარმოებდა მოლაპარაკებას სოლომონ მეორესთან რუსების დავალებით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ. ეს ფაქტი შესანიშნავი დადასტურებაა ამ ღირსეული მამულიშვილის დიდი განათლებისა და ფართო ერუდიციისა. Gგიორგი ვეზირიშვილს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა — გიორგი, დავითი, ივანე და დიმიტრი. გიორგი გიორგის ძე ვეზირიშვილი გახდათ სამხედრო პირი, მსახურობდა შტაბსკაპიტნის ჩინით. გარდაიცვალა 1830 წელს სრულიად ახალგაზრდა. გიორგის უფროსი ვაჟი გახლდათ დიმიტრი ვეზირიშვილი, გენერალ-მაიორი 1853-1856 ყირიმის ომისა და 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. სიცოცხლის ბოლომდე დ. ვეზირიშვილი მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში ბათუმში (მისი მოადგილე გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი).

დ. ვეზირიშვილს ცოლად ჰყავდა ბარბარე ბარათაშვილი — დიდი ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, და. აღსანიშნავია, რომ გაღარიბებულმა მელიტონ ბარათაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლები სიძე-ქალიშვილთან გაატარა და იქვე აღესრულა 1862 წელს. დაკრძალულია სიძის გვერდით სოფელ ოსიაურის სასაფლაოზე. ოსიაურელთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ საფლავი შესანიშნავადაა მოვლილი!

დიმიტრი ვეზირიშვილი გარდაიცვალა 1898 წელს. მის გარდაცვალებას გამოეხმაურა გაზეთი „ივერია" (1898წ. 19 აპრილი, N84) დიმიტრი და ბარბალე ვეზირიშვილებს სამი შვილი შეეძინათ — გიორგი, ნინო და ელისაბედი. გიორგი ვეზირიშვილი მსახურობდა გუბერნატორის მრჩევლად. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საკუთარი ბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. 1915 წელს ნ. ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პოეტის თხზულებათა პირველი გამოცემა დ. ვეზირიშვილის თაოსნობით შედგა.

გიორგის ქალიშვილი — ქეთევანი ცოლად გაჰყვა ბაქოში მცხოვრებ ნავთის მრეწველ მირზა იბრაგიმის ძე კასიმოვს. შეეძინათ ორი ქალიშვილი — აიდა და ჯეირანი. აიდას ბედმა არგუნა, ყოფილიყო დიდი აზერბაიჯანელი მომღერლისა და კომპოზიტორის — „ბულბულის" (მურთუზ მამედოვის) ცხოვრების თანამგზავრი, ჰყავს ორი ვაჟიშვილი: ჩინგიზი — ცნობილი ბიზნესმენი, და ფოლადი —

ცნობილი მომღერალი, აზერბაიჯანის კულტურის ყოფილი მინისტრი, დღეს აზერბაიჯანის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში.

ტრაგიკულად წარიმართა გიორგი ვეზირიშვილის დის — ნინოს ცხოვრება. იგი ცოლად გაჰყვა ვასილ მაჩაბელს, ცნობილ იურისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ილიას უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს, ცნობილი მთარგმნელის — ივანე მაჩაბლის ძმას.

1892 წელს სოფელ თამარაშენში ხოლერამ იფეთქა. შეშინებულმა ხალხმა გადასარჩენად ტყეს შეაფარა თავი. ნინო ვეზირიშვილმა თავის თავზე აიღო სოფელში ბედისანაბარად მიტოვებული ავადმყოფების მოვლა-პატრონობა, რა დროსაც თვითონ დაავადდა და გარდაიცვალა.

სწორედ ამ ოჯახში აღიზარდა და საქართველოს ისტორიაში უზარმაზარი კვალი დატოვა გიორგი ვასილის ძე მაჩაბელმა. მან განათლება უცხოეთში მიიღო — დაამთავრა ბერლინის სამთო აკადემია. 1914 წელს გიორგი მაჩაბელმა თანამოაზრეებთან ერთად დაარსა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. აღსანიშნავია მისი დიდი როლი გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იგი დიპლომატიურ სამსახურშია ჯერ ავსტრიაში, შემდეგ კი — იტალიაში. 1922 წელს გ. მაჩაბელი საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც დაარსა მსოფლიოში განთქმული სუნამოების ფირმა „პრინცი მაჩაბელი“, რომლის ოფისი დღესაც ფუნქციონირებს კონეკტიკუტის შტატში.

ვეზირიშვილთა გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ნიკოლოზ ვეზირიშვილი. ნიკოლოზ ივანეს ძე ვეზირიშვილი დაიბადა 1824 წელს, დაამთავრა გორის საქალაქო სასწავლებელი, 1853 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს მსახურობდა ე. წ ქართულ დრუჟინაში. ახალციხის აღებისას გამოჩენილი სიმამაცისთვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრით.

როგორც ლიტერატორი ნ. ვეზირიშვილი მოღვაწეობდა ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „დროებაში“. მისი შემოქმედების ხასიათი კარგად ჩანს ლექსში „ბუხართან საუბარი“, რომელიც ეძღვნება რაფიელ ერისთავს:

„გაფრინა იგი მწყაზარი,
დრო სიყმაწვილის დარგია,
თან წარიტანა ჩემგან,
რაც „პირველია და კარგია“,
რას არ გავიღებ, ოღონდ კი
ვპოვო ის დანაკარგია,
მაგრამ მწამს, ვეღარ ვეწევი,
წუხილი რაღას მარგია,
შენღა მშთენიხარ, ბუხარო,
გაძვრცნილი გულის შემთმობი,
ვუსმენ გუგუნსა სიამით და
გულის ნაგრძნობს გენდობი,
გვერდსა გიზივარ, შეგყურებ,
ვით საყვარელსა შემტრფობი,
მაგონებ ჩემთა წარსულთა,
ვფიქრობ ... და მითი ვერთობი“.

ასეთივე სულითაა გაჟღენთილი ლექსები „განთიადი“, „ვუძღვნი ქეიფის მოყვარულთ“ და სხვ.

ნ. ვეზირიშვილი გარდაიცვალა 1897წელს, დასაფლავებულია სოფელ ოსიაურში. საფლავის ქვაზე დღესაც გარკვევით იკითხება შემდეგი ეპიტაფია:

„აღსრულდა წესი განგების
მეცა შევძინდი მიწასა,
ვეზირიშვილი ნიკოლოზ
გთხოვთ, შემრთოთ
ღმერთსა ცისასა“.

ნათელი კვალი დასტოვეს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში ნიკოლოზის შვილებმაც.

უფროსი ვაჟი — სვიმონი მსახურობდა გუბერნატორის კანცელარიაში, გახლდათ ცნობილი აგრონომი, ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის მეტად საინტერესო ნაშრომი „დღევანდელი მდგომარეობა მევენახეობისა და ღვინის წარმოებისა გორის მაზრაში“ („ივერია“, 1900, ნაპრილი, N75), სადაც ვკითხულობთ: **„ჩვენ, ქართველები უმთავრესად მხვნელ-მთესველი ხალხი ვართ. ძველის დროიდანვე მიწა იყო ჩვენი ერის მკვებავი, ამიტომ ქართველს მისთვის დედის სახელი უწოდებია. იგი ჭეშმარიტად ჩვენი ნამდვილი, ტკბილი მოამაგე დედაა. ქართველი კაცი ამას მუდამ კარგადა გრძნობდა, ყოველ წამს მზად იყო, მისთვის თავი გაეწირა, მისი ველ-მინდორი, მთა და ბარი თავისი სისხლით წითლად შეეღება. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი კუთხე სამშობლო ქვეყნისა მამა-პაპათა სისხლითაა გაჟღენთილი. ამიტომაც ვგონებ მთლად დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება მეორე ერი, ისე შესიხლხორცებოდეს თავის მიწა-წყალს, როგორც ქართველობა.**

თუ ქართველი მიწა-წყალზე გამაგრებულია, მას არაუშავს რა, მაგრამ უკეთუ ეს მტკიცე, ერთგული ნიადაგი ფეხქვეშ გამოეცალა, მაშინ იგი წუთისოფლის ჭირ-ვარამს ვეღარ უმაგრდება, ეცემა, გადაშენების გზას ადგება... რომ ეს საზარელი ამბავი მომავალში არ შეგვემთხვეს, ამისთვის საჭიროა, რომ მიწა ხელიდან არ გავუშვათ, შევინახოთ, ერთგულად მოვუაროთ, ამაგი გადავუხადოთ! ამას მაშინ მოვახერხებთ, უკეთუ

თუ ქართველი მიწა-წყალზე გამაგრებულია, მას არაუშავს რა, მაგრამ უკეთუ ეს მტკიცე, ერთგული ნიადაგი ფეხქვეშ გამოეცალა, მაშინ იგი წუთისოფლის ჭირ-ვარამს ვეღარ უმაგრდება, ეცემა, გადაშენების გზას ადგება... რომ ეს საზარელი ამბავი მომავალში არ შეგვემთხვეს, ამისთვის საჭიროა, რომ მიწა ხელიდან არ გავუშვათ, შევინახოთ, ერთგულად მოვუაროთ, ამაგი გადავუხადოთ!

შევიძენთ შესაფერის სწავლა-ცოდნას, სამეურნეო განათლებას. ამგვარ სწავლა-ცოდნას და განათლებას მოგვცემს ჩვენ სამეურნეო სკოლა, რომლის გახსნას უნდა შევალიოთ ყოველის ჩვენის ძალი და ღონე“.

1902 წლის 5 მაისის „ივერიაში“ გამოქვეყნებულია „გორის მაზრის თავადაზნაურთა წლიური კრების“ ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: **„ეს სიტყვა მომეტებულად ქართულად წარმოთქმული მეორე ნახევარი, საუცხოო რამ იყო! ბ. ვეზირიშვილი, როგორც შუამავალი, მუდამ ქართველობაში ტრიალებს და ამ კეთილ გარემოებას მისი ლაპარაკის კილოსათვის თავისი მადლიანი ბეჭედი დაუსვამს. ლაპარაკობს იგი ადვილად გასაგები ენით და ისეთი წმინდა ქართული კილოთი, რომლის მზგავს ჩვენს უბადრუკ, არეულ-დარეულ დროში ხშირად ვერ გაიგონებთ. ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, როგორ სტანჯავენ, ჰგრეხენ, აწამებენ საბრალო ქართულ ენასა სხვადასხვა ჩვენებრ კრებებზედ! ხომ გაგიგონიათ, როგორ ამახინჯებენ უშვერის რუსიციზმებით ტბილს დედა-ენას, ამ ძვირფას ძეგლს მამა-პაპათა სულიერი ცხოვრება-მოქმედებისას! და ყველა ამის შემდეგ სულსა და გულში ნათელი გედებათ, როდესაც უტკბესი ს. ვეზირიშვილისთანა კაცის ლაპარაკი გეყურებათ“.**

მომდევნო ძმა — კონსტანტინე, ფაქტობრივად, უნდა ჩაითვალოს მოპასანისა და სენკევიჩის პირველ მთარგმნელად ქართულ ენაზე (2011 წლის მაისში ჩატარდა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც სტუდენტმა ნ. ბერნაცკიმ წაიკითხა მოხსენება თემაზე „კონსტანტინე ვეზირიშვილი — ჰ. სენკევიჩის პირველი მთარგმნელი“).

მის მიერ თარგმნილი სენკევიჩის „ჩალის სკამების მწვნელი ქალი“ („ივერია“, 1897, 13 აპრილი, N6) და მოპასანის „ბიჭო, ერთი ჭიქა ლუდი“ („ივერია“, 1898, 5 ივნისი, N117) შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

> **„მის უწინარეს ქალაქის პირში საბურთალოზედ ოსმალთა და ლეკის ჯარი მოვიდა და ჩვენ გავედით იმათზე საომრათ. და დიად ცოტას შემოვხვდით იმათ და შენც იქ ჩვენთან დაესწარ და სახელოვნად ხელი გამოღევი და სისხლის დასათხევად ჩვენ წინ თავი შენი არ დარიდე და იმჟამად ხვთის მოწყალებით ვსძლიეთ იმ მტერთ და უკუვაქციეთ.“**
>
> **გიორგი XII-ს სიგელიდან**

კონსტანტინე ვეზირიშვილის კალამს ეკუთნის, აგრეთვე, ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „სომხების დახასიათება“, რომელიც ქალაქ შუშაში ყოფნის დროს დაიწერა („ივერია“, 1898 წ., 4 აგვისტო, N166).

დიდი კვალი დააჩნია XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას **მიხეილ ვეზრიშვილმა** — ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ.

მიხეილ ვეზირიშვილი გახლდათ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი მკვლევარი და სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი. სწორედ აღნიშნულ ბანკს უკავშირდება მისი გახმაურებული დუელი ილია ჭავჭავაძესთან.

მიხეილ ვეზირიშვილის ქალიშვილი გახლდათ ცნობილი ბოტანიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი ელისო ვეზირიშვილი. ამ ოჯახის ღირსეული შვილები იყვნენ ნიკოლოზის უმცროსი შვილებიც: გიორგი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი – გორის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე და ირაკლი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი — პოლკოვნიკი, კადეტთა კორპუსისი სასწავლო კლასების ხელმძღვანელი.

მეტად მძიმე ბედი ხვდა წილად დავით იოსების ძე ვეზირიშვილის ოჯახს 1918 წელს. გაბოლშევიკებული ოსების ბანდა თავს დაესხა ვეზირიშვილების ოჯახს. მეზობელმა სანდრო ძულიაშვილმა დიდი რისკის ფასად დავით ვეზირიშვილის ოჯახი გააპარა სოფელ ოსიაურიდან ჩარდახიანი ურმით და ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში დ. ვეზირიშვილის მეუღლის, ქრისტინე აბაშიძის მამის — ტარას აბაშიძის ოჯახში მიიყვანა. დავით ვეზირიშვილის უმცროსი ვაჟი — სიმონი იმ დროს 9 წლისა გახლდათ. შემდგომში იგი ექიმ-სტომატოლოგის პროფესიით პირნათლად ემსახურებოდა ხალხის ჯანმრთელობის კეთილშობილურ საქმეს.

სიმონ ვეზირიშვილს ორი შვილი დარჩა — დოდო და თემური. გულისტკივილით გვინდა ავღნიშნოთ რომ ვეზირიშვილების საგვარეულო სახლი სოფელ ოსიაურში უპატრონოდაა მიტოვებული და ნადგურდება. კარგი იქნება თუ შენობას ჩაუტარდება რესტავრაცია და გაიხსნება მუზეუმი, რითაც კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა შეემატება ხაშურის რაიონს (ვეზირიშვილთა ნაქონი ნივთები დღემდე ინახება რამდენიმე მოსახლესთან. ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ნივთები დათმონ).

წარსულისადმი პატივისცემა და დაფასება ხომ მომავალი ძლიერი საქართველოს საწინდარია!

ვაჟა შუბითიძე,
შადიმან ბიწაძე

გიორგი მჭედლიშვილი,
ისტორიკოს-კულტუროლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები?

დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ 2012 წ. №3-4

შეთავსებადია თუ არა დემოკრატიასთან მართლმადიდებლობა?

რუსთაველის ეპოქამდე ბევრად ადრე, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში საკმაოდ იყვნენ ცნობილი ის პირები, რომლებიც დემოკრატიულ იდეებს ქადაგებდნენ. მათ შორის უშესანიშნავესად მაინც გიორგი მთაწმინდელია მიჩნეული. ქართული კულტურის მკვლევარის — ისიდორე მანწკავას მტკიცებით: იგი პირველი მოღვაწე იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საქრისტიანო მსოფლიოში, რომელიც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში ფეოდალიზმს შეებრძოლა. ასეთი იყო ის წამახალისებელი და მისაბაძი მაგალითი, რომელიც შემდგომში ყუთლუს დასისთვის, ისე როგორც რუსთაველისთვის, აღმაფრთოვანებელ იდეალად შეიძლებოდა ქცეულიყო.

ამას გარდა, XI საუკუნისთვის გიორგი მთაწმინდელისა და მის ირგვლივ შემოკრებილ ქართველ ათონელთა განუწყვეტელი ჭიდილი ერთმორწმუნე ბიზანტიასთან, დიდ ეროვნულ პრობლემას ეჯაჭვებოდა, სადაც ავტოკეფალიის საკითხი ვიწრო ეკლესიურ-აღმსარებლობით ჩარჩოებს სცილდებოდა და ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადი კულტურის დასტურად მოიაზრებოდა.

ცნობილია, რომ ქართველი ფილოსოფოსები ხშირად თვითმხილველი და მონაწილენი ხდებოდნენ XI საუკუნის 80-იანი წლების ბიზანტიაში არსებული მღელვარებისა, რომელიც დაიწყო მიქაელ პსელოსმა მანგანის აკადემიაში მოღვაწეობით და რომლის საქმიანობაც შემდგომ წარმატებით განაგრძო იოანე იტალოსმა. როდესაც იმპერატორ ალექსი კომნენოსის მიერ მოწვეულმა საეკლესიო სასამართლომ 1083 წელს „ანათემამიჩნეული“ იდეების ქადაგებისთვის იტალოსს მონასტერში იძულებით იზოლაცია მიუსაჯა, დაიწყეს მისი მიმდევრების სასტიკი დევნა. და აქ ხდება სრულიად გაუთვალისწინებელი რამ — იოანე პეტრიწს, ანალოგიური იდეების მატარებელს, მფარველად გამოეცხადა ბიზანტიის იმპერიის დიდი მოხელე, ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელმაც 1083 წელსვე დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, პლოვდივთან ახლოს, ბოჩკოვოში დაარსა პეტრიწონის სემინარია. სწორედ აქ შეიკედლა მან იოანე პეტრიწი და თანაც მის ნიჭსა და შემოქმედებით გენიას სრული თავისუფლება მისცა.

პეტრიწის შემოქმედება ეფუძნებოდა არეოპაგიტიკასა და ნეოპლატონიზმს, რაც ქრისტიანული დოგმატიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მეტად სიპტომატური იყო ის, რომ 529 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით, დახურეს ათენის ფილოსოფიური სკოლა, აკრძალეს ანტიკური ფილოსოფიის სწავლება. დოგმატიზმი ქრისტიანული ბერძნული ოფიციოზის იდეოლოგიად იქცა, რისი უარყოფის ცდაც იყო როგორც იტალოსის, ისე პეტრიწის მსოფლმხედველობა.

თუ გავითვალისწინებთ ამგვარ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ფონს, ნათელი გახდება, რომ ეს კიდევ უფრო აძლიერებდა გრიგოლ ბაკურიანის ძის რისკს, თუმცა, სრულიად ბუნებრივია, ამ იდეების ქადაგება უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა და ისევ სასწაული ხდება. ამჯერად იოანე პეტრიწს მფარველად მოევლინა დავით აღმაშენებელი, რომელმაც გელათი შესთავაზა ნიჭიერ სწავლულს სამოღვაწეოდ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: **ის იდეები, რომლებიც ბიზანტიაში იდევნებოდა, ხოლო ევროპისათვის ჯერ კიდევ ვნებათა ღელვის მიღმა რჩებოდა, ქართული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელმა არა თუ შეიწყნარა, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ძირითად მიმართულებად აქცია. უფრო მეტიც, მან უმაღლესი განათლების კიდევ ერთი კერა შექმნა, რომელსაც სათავეში ასევე გამორჩეული პიროვნება არსენ**

იყალთოელი ჩაუყენა, მატიანე არსენ ვაჩეს ძის სახელით რომ იცნობს.

როცა პეტრიწი სწავლობდა მანგანის აკადემიაში, დაახლოებით ამავე პერიოდში, აქვე განათლებას იღებდა არსენ იყალთოელიც. არსენმა აითვისა ყველა მოწინავე იდეა, რომლითაც საზრდოობდა იმდროინდელი ბიზანტია, შეისწავლა ანტიკური, წარმართული და საღვთისმეტყველო ფილოსოფია, და სრულიად ბუნებრივია, ამ ფონზე თავად აირჩია მსოფლმხედველობრივი ორიენტირი, რომელიც პრაქტიკულად განსხვავებული აღმოჩნდა იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობისგან.

არსენ იყალთოელი მოღვაწეობდა შავ მთაზე, საქართველოში დაბრუნების შემდგომ კი გელათში, შიომღვიმეში და ბოლოს იყალთოში, სადაც მეფე დავითთან ერთად შექმნილ აკადემიას ჩაუდგა სათავეში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებელთან დაახლოებული პირია. მის ავტორიტეტსა და განსწავლულობას მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ დავითის მეფობის უკანასკნელ — 1123 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე იგი მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ.

და აქ ისახება მეტად საინტერესო ტრიადა ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა — იოანე პეტრიწი, დავით აღმაშენებელი და არსენ იყალთოელი. პირველი გახლდათ არეოპაგიტიკისა და ნეოპლატონიზმის მქადაგებელი, მეორე — ქრისტიანული ქვეყნის საჭეთმპყრობელი, ხოლო მესამე — დოგმატური ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამცველი.

სწორედ ამ ტრიადას ეფუძნება შემდგომი პერიოდის ქართული კულტურულ-მსოფლმხედველობრივი პროცესის აღმავლობა, რომლის გვირგვინადაც დიდი რუსთაველი და მისი ეპოქა მოიაზრება.

ის, რომ ჩვენში მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში არ ჩამოყალიბებულა შეუზღუდავი მონარქიის, აბსოლუტიზმის სახით, ეს, უწინარესად, ქართული ეკლესიისა და მისი იმჟამინდელი საჭეთმპყრობლის, პატრიარქ მიქაელის, დამსახურებაცაა. **სახელმწიფოებრივ უფლებამოვალეობაში მისი ავტორიტეტის წარმოსაჩენად ისიც იკმარებდა, რომ მან ყუთლუსთან და სხვა კონსტიტუციონალისტებთან ერთად შეძლო სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებაობით“ თვალსაჩინოდ შეეზღუდა „ღვთიური წარმოშობის“ მეფის უფლებები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა 500 წლით ადრე, სანამ ეს პრეცედენტი შეიქმნებოდა ინგლისში, საქართველოში დამკვიდრებულიყო კონსტიტუციური მონარქია.**

და ეს ხდება მაშინ, როდესაც იმავე შუა საუკუნეების ევროპაში სარწმუნოებრივ საკითხებში დადგენილი წესებიდან სულ მცირედი გადახვევისთვისაც კი საინკვიზაციო ტრიბუნალი კოცონზე წვავდა ათეულათასობით ადამიანს. სიბნელის, უმეცრებისა და ფანატიზმის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის, რაც საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში მოხდა: მოსახლეობის დასასჯელად მოყვანილმა მეომრებმა მათთან მისულ პაპის ელჩს ჰკითხეს, როგორ გავარჩიოთ ერეტიკოსები კათოლიკებისაგანო, მან უპასუხა: „ყველანი გაჟლიტეთ განურჩევლად, ღმერთი თავისიანებს ზეცაში იცნობსო“.

ინკვიზიციის უმაღლესი მიზანი გაცხადებული იყო იეზუიტთა ორდენის წესდებაში: „თუ ეკლესიამ დაადგინა, რომ ნივთი, რომელიც თეთრად გვეჩვენება, შავია, მაშინვე შავად უნდა ვაღიაროთ“.

ამ საბაბით ასწლეულების განმავლობაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში უსწორდებოდნენ როგორც სწავლულებსა და მწერლებს, ასევე რიგით ადამიანებს. და ეს ე.წ. რწმენის აქტი — აუტოდაფე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ტარდებოდა საჯაროდ, თითქმის საზეიმო ვითარებაში.

მაგრამ ჯობია, ეს ფაქტები უკომენტაროდ დავტოვოთ, რადგან ისტორიას ისეთი ევროპაც ახსოვს, ცხოველებს, მწერებს, უსულო საგნებსაც რომ ასამართლებდა.

სამწუხაროა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ქართული კულტურა ბევრად წინ უსწრებდა თანადროულ დასავლურს, ქართულ რენესანსს ის უწყვეტი განვითარება და უშუალო შედეგი არ მოჰყოლია ეროვნული კულტურის ისტორიაში, რაც ანალოგიურ პირობებში — ევროპულს. რუსთაველის ეპოქას გასაოცარი დაცემა მოჰყვა. თურქებთან, მონღოლებთან, სპარსელებთან ასწლოვან ომებში დაიშრიტა ქართული ენერგია, საქართველო დაკნინდა.

არანაკლებ საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის XV საუკუნე. 1453 წელს კონსტანტინოპოლისა და მასთან ერთად ქრისტიანული ბიზანტიის დაცემა და კაცობრიობის უდიდესი ნიშანსვეტი — დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, აღმოსავლეთის კულტურული სამყაროსათვის ერთსა და იმავე დროს უდიდესი უბედურების დასაწყისადაც იქცა. არც ერთ მათგანს პირდაპირი კავშირი არ ჰქონია საქართველოს ისტორიასთან, თუმცა არაფერს არ მოუხდენია ისეთი გავლენა ჩვენს ბედზე, როგორიც ამ ორმა უკანასკნელმა გარემოებამ მოახდინა.

დედამიწის მეორე ნახევარსფეროს აღმოჩენამ, ინდოეთისკენ მიმავალმა ახალი გზის გაჭრამ ევროპას სულ სხვა მიზნები და ამოცანები დაუსახა. ამაოდ ირჯებოდნენ ქართველი მეფენი არაერთი მისიის გაგზავნით ევროპის ქვეყნებში დახმარების სათხოვნელად: ევროპელებთან ერთად განეახლებინათ მივიწყებული ჯვაროსნული ომები, რათა ეხსნათ ქრისტიანული აღმოსავლეთი მაჰმადიანთა მძლავრობისგან. მაგრამ — ამაოდ.

ევროპის სახელმწიფოებს აღმოსავლეთის საქრისტიანოს განსაცდელი დიდად არ ადარდებდათ, მათ თვითონ ჰქონდათ ურთიერთშორის დაუსრულებელი ომები გაჩაღებული, ხოლო ზოგიერთ მათგანს — ოსმალებისგან თავი დასა-

ცავი. ევროპელებმა, კერძოდ ავსტრიელებმა 1683 წელს ვენის კედლებთან ძლივს შეძლეს თურქული ექსპანსიის შეჩერება.

ევროპის ქვეყნებს საქართველოსთვის აღარ ეცალათ. ჩვენი ქვეყანა კვლავ მოექცა მაჰმადიანთა ზღვაში, როგორც პატარა კუნძული და ყოფნა-არყოფნის წინაშე დავდექით. აზიამ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე ხანგრძლივი დროით, გამოსტაცა ევროპას საქართველო.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ რეალობას, ადვილი მისახვედრია, თუ რა განწირულად ევედრებოდნენ ქართველი მეფეები ევროპას დახმარებას.

ერთია პოლიტიკური მოსაზრება, რომ მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეულნი, ევროპაში ვეძებდით ეროვნული უსაფრთხოების გარანტს და მეორეა, ქართველთა დასავლეთისკენ სწრაფვა, განპირობებული მათდამი უფრო მეტი სულიერი სიახლოვით, ვიდრე აღმოსავლური სამყაროსადმი გვქონდა.

ქართველი ელჩები არა მარტო რომის პაპის, არამედ სხვა ევროპელი მონარქების წინაშეც არაერთგზის წარმდგარან, მაგრამ საერთო ევროპული კოალიციის შექმნა მაინც ვერა და ვერ მოხერხდა. საქართველო მარტო აღმოჩნდა ოსმალთა და სეფიანთა ირანის წინაშე.

სწორედ ამიტომ ქართულ სამეფოთა წარმომადგენლები ევროპული სახელმწიფოებისგან არა მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას, რეალურ მოკავშირეობას ითხოვდნენ, რაც მიუღწეველი და განუხორციელებელი დარჩა.

ამ ურთიერთობაში ჯერ კიდევ გიორგი V-ს დროიდან გაისმა ქართველთა მხრიდან ერთგვარი საყვედურის ტონიც: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს... და სტოვებენ მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ“, — ვკითხულობთ გიორგი ბრწყინვალეს მიერ საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი გაგზავნილ წერილში.

შეგვეძლო აქედან დაგვეწყო საუბარი ევროპის მიერ „მიტოვებულ“ საქართველოს თემაზეც. მითუმეტეს, თუ მას მიღწეული შედეგით ვაფასებთ. ქართველ დიპლომატთა ყველა მცდელობა და მათ შორის ევროპისაგან დახმარების იმედად ჩასული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობაც, როგორც ცნობილია, უშედეგოდ დასრულდა.

თუ რეალურად შევაფასებთ იმდროიდელ პოლიტიკურ ვითარებას, ამ ფონზე ქართველ მეფეთა წინადადებები და მოწოდებანი ევროპული სახელმწიფოებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, უფრო გულუბრყვილობის და ნაკლებად პრაგმატულობის ელფერს ტოვებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართული სახელმწიფოების პირველ პირებს, რომელთაც ირან-ოსმალეთთან ურთიერთობაში დღენიადაგ ბეწვის ხიდზე უწევდათ გავლა, იმჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაზე ჰქონოდათ ასეთი მიამეტური წარმოდგენა. აქ, ვფიქრობ, უფრო ფსიქოლოგიურ ფაქტორთან უნდა გვქონდეს საქმე და, ბუნებრივია, ახლებურ ასპექტში ითხოვს წარმოჩენას. ცხადია, რომ ეს ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მნიშვნელობის გაიდეალება, როგორც საშუალება არსებული სინამდვილისაგან მოწყვეტისა, დამპყრობელთა კლანჭებში მოქცეულ ქართველ ერს ჰაერივით სჭირდებოდა სულის მხნეობისთვის. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ XII-XIII საუკუნეებში ჯვაროსანი რაინდებიც, როდესაც მათი მდგომარეობა აღმოსავლეთში მკვეთრად გაუარესდა, ევროპაში შეიქმნა ქრისტიანთა მხსნელის, იოანე პრესვიტერის, ლეგენდარული სახე, რომლის პროტოტიპი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დავით აღმაშენებელი უნდა ყოფილიყო.

ვწერ ამ სტრიქონებს და მახსენდება გენიალური ანატოლ ფრანსის სიტყვები: **„მიყვარს სიმართლე. მგონია, რომ კაცობრიობას ის სჭირდება; მაგრამ კიდევ უფრო მეტად საჭიროებს სიცრუეს, რომელიც მას ეპირფერება, ამშვიდებს და უსასრულოდ აიმედებს. სიცრუის გარეშე ის დაიღუპებოდა უიმედობით“.**

ასეთ სიტუაციაში არაერთხელ ისტორიული კითხვის დასმაც და პასუხების ძიებაც იმის შესახებ, რომ დასავლეთმა როგორ „მიგვატოვა“ და გვითხრა „ცივი უარი,“ კიდევ ერთ რამეს ადასტურებს, თუ რაოდენ ჩაუხედავები ვართ ამ თემაზე მოსაუბრენი ევროპის ისტორიაში.

რით უნდა დაგვხმარებოდნენ ასწლიან ომში ჩაბმული ინგლისელები და ფრანგები ან ერთმანეთთან მეომარი ინგლისელები და ესპანელები, ფრანგები და ავსტრიელები, პოლონელები და შვედები? იქნებ, ევროპული სოლიდარობით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ოსმალეთთან მებრძოლ ავსტრიას, ომის ყველაზე რთულ მომენტში (როდესაც ოსმალები ვენას მიადგნენ) ერთმორწმუნე საფრანგეთმა ლუქსემბურგის მიწები, ელზასი და სტრასბურგი მოსტაცა?

ქართველი ელჩები არა მარტო რომის პაპის, არამედ სხვა ევროპელი მონარქების წინაშეც არაერთგზის წარმდგარან, მაგრამ საერთო ევროპული კოალიციის შექმნა მაინც ვერა და ვერ მოხერხდა. საქართველო მარტო აღმოჩნდა ოსმალთა და სეფიანთა ირანის წინაშე

ნუ დაგვავიწყდება, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ევროპა ომების ქარცეცხლში იყო გახვეული. საუკუნეების განმავლობაში დინასტიურმა, პოლიტიკურმა, რელიგიურმა, ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა ეს კონტინენტი ურთიერთდაპირისპირებულ ბლოკებად და კოალიციებად დაქსაქსა.

არავითარი ერთიანი ევროპა, რომელსაც საქართველო ოსმალ-ირანელთა კლანჭებიდან რომ უნდა დაეხსნა, ბუნებაში არ არსებობდა. ქართველ მეფეთა მაშინდელი მოლოდინები ილუზორული იყო

არავითარი ერთიანი ევროპა, რომელსაც საქართველო ოსმალ-ირანელთა კლანჭებიდან რომ უნდა დაეხსნა, ბუნებაში არ არსებობდა. ქართველ მეფეთა მაშინდელი მოლოდინები ილუზორული იყო.

ამდენად, იმ ისტორიულ კონტექსტში საქართველოს დახმარება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ევროპა ერთიანი სახით იარსებებდა.

თუმცა მაშინაც არსებობდა გლობალური (მაშინდელი თვალსაწიერით) პოლიტიკური კონფიგურაციის შექმნის პროექტი, რომელიც ეკუთვნოდა დიდ ფილოსოფოსსა და მათემატიკოს — ლაიბნიცს.

მაგრამ ევროპის პოლიტიკური ერთიანობის იდეა ბევრად უფრო ადრეც გაჩნდა — სადღაც ჯერ კიდევ VIII-IX სს. მიჯნაზე. მისი სამშობლო გახდა ფრანკთა სახელმწიფო, რომელიც მეფე კარლოს დიდის (768-814 წწ.) მეფობის დროს იმ მშფოთვარე პერიოდში ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან და ძლიერ გამაერთიანებლად მოჩანდა. მაგრამ ეს იყო მაინც არამყარი ერთობა, რომელსაც არ შეეძლო ევროპის კონტინენტზე ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოთა შორის საზღვრების ცვლისთვის დაუსრულებელი ომები შეეჩერებინა.

და მაინც კარლოს დიდისა და შემდგომ ოტონ I-ის იმპერიებმა თავიანთი გამაერთიანებელი როლი შეასრულეს, რომელმაც თავი იჩინა ევროპის შიგნით საერთაშორისო ურთიერთობებშიც და იმ იდეის განმტკიცებაშიც, რომ ეს ახალგაზრდა, ჯერაც „ბარბაროსული“, ურთიერთდაპირისპირებული სახელმწიფოები იყვნენ თავისი დიდი წინამორბედის — რომის ცივილიზაციის გამგრძელებელნი.

ლაიბნიცის პროექტიც ევროპის პოლიტიკურ ერთიანობას ისახავდა მიზნად. იგი გულისხმობდა ევროპის სახელმწიფოებს შორის ომების შეწყვეტას, ხანგრძლივ (თუ სამარადისო არა) ზავს და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი ევროპული სახელმწიფოს (იმ მომენტისათვის არა მხოლოდ სახმელეთო, არამედ საზღვაო თვალსაზრისითაც) — საფრანგეთის ძალების კონცენტრირებას სუეცის რაიონში. ამას უნდა მოჰყოლოდა სუეცის არხის გაყვანა და დასავლეთის აღმოსავლეთით შემდგომი ექსპანსია.

ცხადია, **ლუი XIV-ს ლაიბნიცის პროექტი რომ მიეღო, ამ შემთხვევაში საქართველოს ბედი შეიძლებოდა სხვაგვარად წარმართულიყო, მაგრამ ჭირვეულ, დაბერებულ და აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქს, რომელსაც სხვისი აზრების გაზიარება ნაკლებად შეეძლო, არ ესმოდა მისი მნიშვნელობა და ამიტომაც ევროპის ერთობის მიღწევას კიდევ სამასი წელი ლოდინი დასჭირდა.**

აი ასეთ ვითარებაში, უსაშველოდ გაწელილ დროში, მაჰმადიანური აღმოსავლეთის დამპყრობლებმა საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიკურ განადგურებამდე მიიყვანეს. ჩვენ მოვწყდით საკუთარ წარსულს და ჩვენივე ისტორია უცნობი დარჩა არა თუ მსოფლიოსთვის, არამედ თვით ქართული სინამდვილისთვისაც. ეს იყო ხვედრი მცირერიცხოვანი ერისა, რომლის ქვეყანამ დაკარგა საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება და მასთან ერთად — თავისი ისტორიაც.

ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში, გვსურდა თუ არა, საქართველოს აზიაში უფრო დიდხანს ედგა ფეხი, ვიდრე ევროპაში. სწორედ გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო იყო, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა ისლამურ ცივილიზაციასთან და არა მარტო ისლამურ ცივილიზაციასთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარება, პირველ რიგში, მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. დიდი სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარე ქვეყანა ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის და, შესაბამისად, ორი დიდი კულტურული სამყაროს — დასავლურისა და აღმოსავლურის — მიჯნაზე იყო განფენილი. კავკასიის ყელზე მდებარე, იგი ხმელთაშუაზღვისა და მახლობელი აღმოსავლეთის უდიდესი ცენტრების არეალში იყო მოქცეული. ამის გამო საქართველო უძველესი დროიდანვე კონტაქტში იყო მრავალ ქვეყანასთან და ხალხთან. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ხვდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითი რწმენა წარმოდგენების პარალელურად აქ ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი, ე. ი. მეზობელი ქვეყნების კერპები და რიტუალები იკაფავდა გზას. XX ს-ის ვანის, ნოქალაქევის, მცხეთა-არმაზისა და სხვა არქეო-

ლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურა ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიებზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა. ჩვენი წინაპრების ნაწილი ქრისტეს შობამდე მონოთეისტურ და დუალისტურ თეოლოგიასაც ეზიარა იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის სახით. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, ელიტარული საზოგადოება მაინც, ინდუიზმსა და ბუდიზმსაც იცნობდა. ჩვენი წინაპრები რომ ინდურ-ტიბეტურ სამყაროსაც იცნობდნენ, ამის თაობაზე ძველი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებიც მეტყველებს. ამის ნიმუშად „ბალავარიანის“ დასახელებაც იკმარებს. საერთო ქართული კულტურის ქმნადობაში წვლილი ებრაულ სინაგოგებსაც შეჰქონდათ. შუმერული და ხეთური ცივილიზაციები, აქემენიდური და სასანური ირანი, ელინისტური აღმოსავლეთი და რომი, არაბული სამყარო და ბიზანტია — აი ქართული კულტურის მასაზრდოებელი წყაროები.

საქართველოს ახასიათებს ის, რაც სრულიად ბუნებრივია ყველა კულტურული სახელმწიფოსთვის: მას არ შეუძლია სხვათაგან იზოლირებულად ცხოვრება, პირუკუ, აქტიურ ურთიერთობათა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლით მუდამ იმაღლებს საკუთარ კულტურულ დონეს, ადგილობრივ ნიადაგზე გადახარშავს ყველაფერს, რასაც სხვათაგან იღებს და ქმნის საკუთარს, ქმნის ისეთ კულტურულ ფენომენს, რომელსაც აშკარად განსხვავებული, ქართული ჰქვია.

რაც შეეხება ქართული კულტურის მიკუთვნებას რომელიმე კულტურის ტიპთან სიახლოვის თვალსაზრისით, გასაგებია, რომ ქართული კულტურა ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს როგორც მუსლიმურ კულტურასთან, ისე ევროპულთან, რომელთანაც სულიერი სიახლოვე ბევრად უფრო გამოკვეთილად ჩანს.

ის, რომ საქართველო ევროპის თანამეგობრობის მსგავსად, ისტორიული ფაქტებით ემყარება კულტურისა და ცივილიზაციის საერთო საფუძვლებს, ამის თქმის უფლებას ქვეყნის ისტორია, უწინარეს ყოვლისა, გენიალური რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვაძლევს.

კაცობრიობის სიყვარულის, მეგობრობის, მოყვასისადმი თავგანწირვის, ქველმოქმედების საოცარი ნიმუშებით გაჯერებული ეს მაღალმხატვრული ქმნილება თვალსაჩინოო ახსნაა ადამიანის, როგორც მსოფლიო მოქალაქის არსებობისა და დანიშნულებისა ქვეყანაზე. პიროვნების თავისუფლებისათვის, კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლის თვალსაზრისი უდევს საფუძვლად აღორძინების ხანის საქართველოში შექმნილ ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობას. აქედან გამომდინარე, **„ვეფხისტყაოსანი“, როგორც საერო კოდექსი, შესაძლოა, გახდეს ის განსაკუთრებული გასაღები, რომელიც გააღებს საქართველოსთვის თანამედროვე ევროპული კულტურისა და სხვა ცივილიზაციათა კარებს.**

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი, მათ შორის ფუნდამენტური, ადამიანის უფლება არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და რომ ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა. ზოგიერთი ამ ღირებულებათაგანი საქართველოში უძველესი დროიდან მკვიდრდება და მნიშვნელოვნად წინ უსწრებს შესაბამისი დროის დასავლურ ევროპულს, ზოგიც ბევრად ჩამორჩება დროში. **მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს და ძლიერ ვგავართ ერთმანეთს.**

თუნდაც ის, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი ისტორიულად არ იყო უცხო, არა მარტო ქართული, არამედ დანარჩენი სამყაროსთვის, უკვე შეუძლებელს ხდის მის მიჩნევას მარტოოდენ დასავლური ცივილიზაციის მონაპოვრად. ეს კი თავისთავად უსაფუძვლოს ხდის იმ მითის არსებობას, რომ „განყენებული“ აზროვნების უნარი, მიდრეკილება ფასეული დამოკიდებულებისადმი, მოვლენებისადმი, საკუთარი „სულიერი სტილი“ წარმოადგენდეს მხოლოდ ევროპელთა გამორჩეულ დამახასიათებელ თავისებურებას.

დღეს, როდესაც ქართველი ერი იბრძვის, რათა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში, ქართული კულტურის ისტორიის წარმოჩენას, მისი სპეციფიკის ჩვენებას, არის თუ არა კულტურის სხვა ფორმებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტიპი, თუ შეიძლება მივაკუთნოთ ამა თუ იმ ზოგად კულტურულ

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი, მათ შორის ფუნდამენტური, ადამიანის უფლება არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და რომ ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა

ტიპს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

რადგან კულტურის ყოველი ტიპის საფუძველია ღირებულებათა სისტემა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და ქმნის ადამიანთა ცხოვრების პრინციპებს, ვფიქრობ, იმ მიმოხილვითაც კი, რომელიც წარმოვადგინე, ნათელია ჩვენი ეროვნული კულტურის მსოფლიო მასშტაბის, მარადიული სიახლისა და სიღრმის საფუძველი, რაც გვაძლევს უფლებას, განვაცხადო, რომ: **მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველმა ხალხმა არა მარტო გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს და შეინარჩუნა არსებობა მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში, არამედ შექმნა თვითმყოფადი კულტურა, რომელიც ჩამოყალიბდა კულტურის სხვა ფორმებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ტიპად.**

სწორედ ამიტომაც **ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული ან წმინდად აზიური.** იქნებ ბუნებამაც იზრუნა საგანგებოდ ამისათვის. ამაში თავადაც დავრწმუნდებით: თუ იმ სპეციალურად შექმნილი რუკით ვიხელმძღვანელებთ, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია თბილისი, ხოლო მისგან თანაბარ 500, 1000, და 1500 კილომეტრ მანძილებზე გავლებულია ელიფსური წრეწირები, შეგვიძლია გავზომოთ მანძილი თბილისიდან ნებისმიერ გეოგრაფიულ ობიექტამდე.

რუკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე, რომელიც მსოფლიოში ცნობილია კავკასიის „ყელის“ სახელწოდებით. ჩვენი დედაქალაქი თანაბარი მანძილითაა დაშორებული უძველესი მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებიდან.

ამიტომაც არის, რომ, მართალია, ჩვენთვის ახლობელია ევროპული იდეალები, მაგრამ უცხო იყო და, ალბათ, უცხო დარჩება ევროპული რაციონალიზმი და ტექნიციზმი.

ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკის გამო, ის, რომ ჩვენ შეგვიძლია „აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერდეთ აზიას“ და „ევროპაში მყოფნი აზიიდან ვაკვირდებოდეთ ევროპას,“ საქართველოს და ქართულ კულტურას განსაკუთრებულ მისიას აკისრებს

ჩვენთვის არ არის უცხო აღმოსავლეთის კულტურული ფასეულობანი, მაგრამ უცხო იყო და, ალბათ, უცხო დარჩება აღმოსავლური მისტიზიცმი და ფანატიზმი.

ამიტომ ამბობდა დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია: **„ბედმა გვარგუნა აღმოსავლეთის კარებთან დარაჯად დგომა დასავლეთის ცივილიზაციის სახელით“.**

ამ უკიდურესობათაგან თავისუფალი ქართული სული დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტაციებს შორის მანევრირების უნიკალურ უნარს ამჟღავნებს, და, ვინ იცის, იქნებ იგი მართლაც გამოდგეს ურთიერთდაპირისპირებულ ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად.

ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკის გამო, ის, რომ ჩვენ შეგვიძლია „აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერდეთ აზიას“ და „ევროპაში მყოფნი აზიიდან ვაკვირდებოდეთ ევროპას,“ საქართველოს და ქართულ კულტურას განსაკუთრებულ მისიას აკისრებს.

იქნებ სწორედ აქ გვეპოვა პასუხიც, იმ არსებით საკითხზე თითოეულ ჩვენგანს რომ აწუხებს: **ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები, ცივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში?**

დღეს, პოლარიზებულ სამყაროში, როდესაც ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ანტიისლამურმა არაერთმა ფოტომასალამ, დაწყებული პასტორის მიერ ყურანის დაწვით და დახოცილ მებრძოლთა შეურაცხყოფით, რასაც პასუხად ბიბლიის დაწვა და მთელ მსოფლიოში მილიონობით დემონსტრანტის საპროტესტო ტალღა მოჰყვა, კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრაში, რასაც ჰქვია მდგომარეობის განმუხტვა, საქართველოს შეუძლია განსაკუთრებული როლი ითამაშოს.

მჭიდრო კავშირები, რომლებიც მას ისტორიამ მემკვიდრეობით არგუნა, უნიკალურ შანსს აძლევს, გამოვიდეს შუამავლის როლში სხვა ცივილიზაციურ ცენტრებს შორის, განსაკუთრებით ისლამურ სამყაროსთან დიალოგისას. საუკუნეების განმავლობაში ისლამის რკალში მოქცეული ჩვენი ქვეყანა თავს იცავდა მტრის მოძალებისგან, ამ უმძიმეს ჟამს მას მხოლოდ ერთი პოლიტიკა ჰქონდა, პოლიტიკა გადარჩენის.

მაგრამ კულტურული ფასეულობები, თვით მოსისხლე მტრისა, მისთვის მაინც საკრალური რჩებოდა. მეფე-პოეტ თეიმურაზს, ამ გაუბედურებულ კაცს, რომელსაც სპარსელებმა დედა და შვილები წამებით მოუკლეს, გენეტიკური კოდი ათქმევინებს სიტყვებს: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“-ო. აი, ამ ტრადიციებისა და კულტურის ერი, შეიძლება გახდეს სხვისთვის მისაბაძი და მაგალითის მიმცემი, თუ როგორ შეიძლება დასავლეთსა და

აღმოსავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობა დაიძლიოს.

ხანგძლივი პაუზის შემდეგ, ჩვენ კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა, ვიქცეთ ურთიერთდაპირისპირებულ ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად!

მაგრამ ამ მაღალი მოწოდების რეალიზებას საქართველო შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ჩვენგანი ღრმად ჩაწვდება ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო მასშტაბის მარადიული სიახლისა და სიღრმის საფუძვლებს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უცხოელთათვის ამ ყოველივეს უფრო გასაგებსა და მისაღებს გახდის.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ერთია სურვილი და მეორეა რეალობა. ისტორიულ ჭრილში თუ განვიხილავთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის დინამიკას, დავინახავთ, რომ ეს ურთიერთობა არათანაბარზომიერი მაჯისცემით ხასიათდება: ურთიერთმიზიდულობას ურთიერთგანშორება ან ერთმანეთის მიმართ ინდიფერენტულობა (გულგრილობა) ცვლის.

ხანგძლივი დაშორების მიუხედავად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთზემოქმედება და ინტეგრაცია დღეს არა მარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ აუცილებელიც. სხვა შემთხვევაში, მათი მკვეთრი გამიჯვნითა და ურთიერთდაპირისპირებით კვლავაც მითების ტყვეობაში დავრჩებით და კულტურათა დიალოგის ნაცვლად მოვლენათა განვითარების დიალექტიკა ცივილიზაციათა შეჯახებას გარდაუვალს გახდის.

მართალია, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აღიარებულია დებულება იმის თაობაზე, რომ თითოეული ეროვნული ცივილიზაცია უნიკალური და განუმეორებელი ფენომენია, აქვს განვითარების საკუთარი გზა, სპეციფიკა და კანონზომიერებანი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **კაცობრიობა დაფუძნებულია ერთობის იდეაზე და ერთობის მრავალფეროვნებაზე.** ამრიგად, მსოფლიო ცივილიზაცია არის მთლიანობა, სისტემა, რომელთანაც სტრუქტურულ-ფუნქციონალურ კავშირშია რეგიონული, ლოკალური ცივილიზაციები (კულტურები). თუ ადრე ცივილიზაციებს შორის განსხვავებების გამო ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, დღეს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს იტალიელი მეცნიერი ვ. სტრადა, ხდება პირიქით, გლობალიზაციის შორს წასულ პირობებში, ეს განსხვავება ნიშნავს ახალი ერთობის ძიებას დიალოგსა და თანამშრომლობაში. ამისათვის დასძენს ის: „ცივილიზაციებს შორის მხოლოდ განსხვავებების შეცნობას შეუძლია გააკეთოს ისე, რომ გლობალიზაციის კონსტრუქციულმა შესაძლებლობებმა მოიპოვოს უპირატესობა საწინააღმდეგოზე“.

ცხადია, რომ კულტურა სულიერების ნაყოფია, მსოფლიო ცივილიზაცია — ეროვნულ კულტურათა ერთობლიობა. კაცობრიობის ისტორიის მთელმა გამოცდილებამ, განსაკუთრებით უკანასკნელი ათასწლეულისა, დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ „ცივილიზაცია, უპირველეს ყოვლისა, არის მისწრაფება არსებობისათვის“, – წერდა ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-ი-გასეტი. კულტურების სპეციფიკის, ენების, რელიგიების განმტკიცება ხდება არა მათი თვითიზოლაციის გზით, რომელსაც ფატალურად დაცემამდე მივყავართ, არამედ კონტაქტებითა და ურთიერთგამდიდრებით. ცივილიზაციები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და პაექრობენ, მაგრამ მათ შორის შეტაკება არასოდეს ყოფილა ისტორიის მთავარი ზამბარა. ცივილიზაციური თეორიების მომხრეთა მტკიცებების საპირისპიროდ, ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაცია უდავო რეალობაა. იგი ცალკეული ცივილიზაციების უბრალო ჯამი კი არაა, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის სუბსტრატია, რომელიც გამოხატავს ადამიანის არსს და აღიარებულია კაცობრიობის მიერ როგორც საერთო საკუთრება.

თანამედროვე მსოფლიოში, რაც უფრო ხდება ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ყოფის უნიფიცირება, მით უფრო ძლიერდება თითოეული ხალხის მისწრაფება, შეინარჩუნოს თავისი სახე, დაიცვას ეროვნული, კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობა. ამოსავალი ამ წინააღმდეგობიდან, რომელიც საფუძვლად უდევს „ცივი ომის“ შემდეგ მრავალ საშინაო თუ საგარეო ლოკალურ კონფლიქტებს, შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ყველა ცივილიზაციური ცენტრის თვითღირებულებების, ურთიერთდამოკიდებულებისა და სოლიდარობის აღიარებით მესამე ათასწლეულის რისკებისა და შანსების წინაშე.

ხანგძლივი დაშორების მიუხედავად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთზემოქმედება და ინტეგრაცია დღეს არა მარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ აუცილებელიც

ფოტოები არასოდეს ძველდება...

სააკაშვილს ტყუილის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია: 15 იანვარს „საახალწლო ციკლის“ მორიგ ტელეგამოხდომაში ახალი სიცრუე გაუშვა თავისუფალ ფრენაში, როცა განაცხადა, რომ შევარდნაძის დროს ოფიციალურად დასრულდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოებად გამოყოფა. ნარბიც არ შეტოკებია: ვითომ არ ყოფილა 2008 წლის ომი და ამ ომის ერთ-ერთი შედეგი — თვითაღიარებული სეპარატისტული რეგიონების მოსკოვის მიერ მხარდაჭერა. მანამდე რუსეთის მხარე მინიშნებასაც არ აკეთებდა მსგავსი დემარშისთვის მზადყოფნის თაობაზე.

ეს ფოტო გადაღებულია 1987 წლის 25 დეკემბერს ავღანეთში, კუნდუზის პროვინციაში (არმაზ სანებლიძე, საბჭოთა ოფიცერი და ამირან მურვანიძე). მაშინ ეს ადგილი მსოფლიოში ერთ-ერთ ცხელ წერტილს წარმოადგენდა, სადაც რეპორტაჟის ჩასაწერად ოპერატორ ამირან მურვანიძესთან ერთად ჩავედი.

სააკაშვილის ხელისუფლებამ აფხაზეთთან უშუალო მოლაპარაკების ყველა ხიდი მოშალა და დაანგრია. არადა, მოლაპარაკებები მეტ-ნაკლები წარმატებით ნაცბოლების მოსვლამდე სისტემატურად იმართებოდა. კონტაქტი იყო და აშკარად ჩანდა იმედის მომცემი პერსპექტივა.

ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკება 1993 წლის 7-9 აპრილს გაიმართა სოჭის სანატორიუმ „ციურუპაში“. ფოტო (№1), რომელსაც წარმოგიდგენთ, ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგაა გადაღებული. პირველ რიგში დგანან საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები **ვალერი ჩხეიძე,** სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარე (მარცხნიდან მესამე), მისგან მარცხნივ — **თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, სანდრო კავსაძე,** კიტოვანსა და კავსაძის შუაში, უკანა ფლანგზე: **გენერალი გიორგაძე** და **გენერალ-ლეიტენანტი თავაძე**. „მარჯვენ ფლანგზე“ — ქართველი ჟურნალისტები. მათ შორის (მარჯვნიდან მეოთხე) — **კოკა ყანდიაშვილი**, რუსეთის ტელევიზიის (РТР) საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში. 7 აპრილს კოკა მამა გახდა, ახარეს, რომ გოგო შეეძინა, პირველი შვილი — მარიამი.

ახალი „მედიაექსპერტები“ პირდაპირ ტელეეთერს და სატელევიზიო თოკშოუს რატომღაც ახალი დროის მონაპოვრად ასაღებენ.

ეს ფოტო იმის დოკუმენტური დადასტურებაა, რომ გაცილებით ადრე, ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან, როცა საქტელერადიოს თავმჯდომარედ **ნუგზარ ფოფხაძე** დაინიშნა, ტელეჟურნალისტიკის ეს ფორმა სისტემატურად ჩანდა ეკრანზე. როგორც წესი, მინისტრებს იწვევდნენ ტელევიზიაში და მათთან პირუთვნელი დიალოგები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ფოტოზე სწორედ ერთ-ერთი ასეთი საუბარია აღბეჭდილი. „მოამბის“ სტუდიაში არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **გურამ მგელაძე** *(მარჯვნივ)* და საქტელერადიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **არმაზ სანებლიძე.**

საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხშირად სტუმრობდნენ რუსეთის კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი.

მესამე სურათზე თქვენ ხედავთ ბრწყინვალე რუს პოეტს ანდრეი ვოზნესენსკის, რომლის გენეოლოგიური ფესვები საქართველოშია — მისი დიდი ბაბუა, როგორც თვითონ წერდა, ღვთისმსახური, ქართველი იყო.

1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკის ავარია მოხდა. ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ის შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით.

ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა სსრკ-ის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის აღმოსავლეთი ნაწილი. რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელორუსიის ტერიტორიაზე. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო დაახლოებით 200 000 ადამიანი.

ეს ფოტო ჩერნობილში ჩემი მეორე მივლინების დროსაა გადაღებული, 1986 წლის ნოემბერში.

ამ ფოტოზე ცხონებულმა თამაზ ქიქავამ აღბეჭდა საქტელერადიოში დამკვიდრებული ერთი ტრადიცია, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ჩემპიონობიდან ჩაეყარა საფუძველი: ყოველ ახალ ჯერზე მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის თბილისში ჩამოსვლისთანავე ტელერადიოკომიტეტს უნდა სწვეოდა და ქართველ გულშემატკივართა წინაშე აქედან (ეკრანიდან) წარმდგარიყო.

სურათზე არიან: ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** ქართველ ტელეჟურნალისტებს შორის. აქვე არიან მაიას მწვრთნელი, დიდოსტატი **ბუხუტი გურგენიძე** (მარჯვნიდან მეორე) და ჭადრაკის თეორეტიკოსი, „მეფეთა თამაშის“ უბადლო პოპულარიზატორი მოჭადრაკე **თენგიზ გიორგაძე.**

არმაზ სანებლიძე

ისტორია მეორდება

საკადესისა და ახალი ამბების საკაგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

ფაქტები მოვლენები

სახელმწიფოთა შორის ბრძოლა საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად ყოველთვის აქტუალური იყო, რამაც კაცობრიობის არსებობის მანძილზე უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ბრძოლას ხან სისხლისმღვრელი ომების, ხან დიპლომატიური ბრძოლის სახე ჰქონდა.
თუ გავიხსენებთ დაღუპულთა რაოდენობას, განადგურებულ ქონებას, დახარჯულ თანხებს, ცხადი გახდება, რომ ომი ადამიანის ყველაზე დამანგრეველი და ფუჭი ქმედებაა. მარტო XX საუკუნეში ომმა ათობით მილიონი ადამიანი, მათ შორის უამრავი სამოქალაქო პირი იმსხვერპლა.
ასე რომ, ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა. ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა, გავლენის სფეროების გაფართოებისა და მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვა, საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ნებისმიერი ხერხითა და მეთოდით ბრძოლა — აი საკითხები, რომელთა გამო სახელმწიფოები ვერ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას და ადამიანები დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში ერთმანეთის სისხლს ღვრიან.
ქვემოთ გთავაზობთ ინფორმაციებს, თუ რას წერდა 30 წლის წინ გაზეთი „კომუნისტი“ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე — თითქოს ისტორია მეორდება.

პრემიერის „სიმბოლური“ გასროლა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა თავი ვერ შეიკავა ახალი პროვოკაციისაგან არგენტინის მიმართ. როცა ვიზიტად იმყოფებოდა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე, იგი ეწვია ინგლისის სამხედრო ბაზას დაბა ფიცროიში, სადაც გაისროლა ზარბაზანი იმის ნიშნად, რომ ლონდონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, შეინარჩუნოს ფოლკლენდის კუნძულები. ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემული ფოტოსურათი გადაღებულია ამ „სიმბოლურ“ გასროლამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე.

თუმცა, ქალბატონ ტეტჩერისათვის უჩვეულო საქმე როდია უმზიროს განვითარებადსა და სხვა ქვეყნებს საარტილერიო სამიზნის ჯვარედინიდან. საკმარისია გავიხსენოთ, რომ **მან სავსებით დაუჭირა მხარი ირანის წინააღმდეგ ამერიკის შანტაჟისა და მუქარის კამპანიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რევოლუციების მიუხედავად, მოაწყო სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა ფოლკლენდის კუნძულებზე, ახლა კი მზად არის ჩაძიროს დანიის თევზსაჭერი გემები, რომლებიც რეწვას აწარმოებენ ინგლისის ნაპირების მახლობლად.**

როცა ზარბაზანს ისროდა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, რა თქმა უნდა, არ უფიქრია, რომ ძალისმიერ პოლიტიკას ხშირად მეორე მხარეც აქვს. ჩაფიქრება კი ღირდა. სწორედ ფიცროის მახლობლად კონფლიქტის დროს ყველაზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი დაიღუპა. (საკდესი).

ამხილებენ რეაქციონერებს

ჰარარე. აფრიკის სრული დეკოლონიზაციის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეაქციული როლი ამხილა ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რ. მუგაბემ. აფრიკა-ამერიკის ინსტიტუტის აქ მიმდინარე მე-13 კონფერენციის მონაწილეების წინაშე გამოსვლისას, **მან „შანტაჟი“ უწოდა ვაშინგტონისა და პრეტორიის მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ, გააჭიანურონ ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, დაგმო „ფრონტისპირა სახელმწიფოების“ წინააღმდეგ რასისტთა აგრესიის განუწყვეტელი აქტები.**

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ნამიბიის პრობლემის გადაწყვეტა დაუკავშირონ ანგოლიდან კუბელ ინტერნაციონალისტთა გამოყვანას, წინააღმდეგობას ქმნის ნამიბიაში მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, — თქვა რ. მუგაბემ. თავისი მოქმედებით იგი ფაქტობრივად აქეზებს აპარტეიდის რეჟიმს, გააძლიეროს თვითნებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აგრესიის ესკალაცია აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. **ამერიკის შეერთებული შტატების წაყრუებით რასისტები განაგრძობენ ანგოლის სამხრეთ რაიონების ოკუპაციას, მხარს უჭერენ ანგოლის მოწინააღმდეგე უნიტას ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ვაშინგტონთან.**

დანიშნეს პრემიერ-მინისტრი

კოტონუ. ზემო ვოლტის დედაქალაქ უაგადუგუდან მიღებული ცნობით, კაპიტანი თომას სანკარა დაინიშნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრად. ეს გადაწყვეტილება მი-

იღეს ხალხის ხსნის დროებითი საბჭოს საგანგებო სხდომაზე. აღნიშნული საბჭო, როგორც ცნობილია, 1982 წლის 7 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ზემო ვოლტის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა.

ესეც შენი ამერიკული დემოკრატია

სკანდალი თაღლითობის გამო

ნიუ იორკი. დიახ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გასული წლის ნოემბრის არჩევნებში თაღლითობის მრავალი ფაქტი მოხდა... არა, მათი შედეგები გადასინჯვას არ ექვემდებარება. ასეთი საოცარი გადაწყვეტილება მიიღო ილინოისის შტატის უმაღლესმა სასამართლომ. მან უარყო დემოკრატ ედლაი სტივენსონის სარჩელი, რომელმაც გააპროტესტა ამ შტატში გუბერნატორის არჩევის ფალსიფიცირებული შედეგები.

ილინოისის გუბერნატორის პოსტისათვის „რბოლაში" გამარჯვებულად გამოცხადდა სტივენსონის მეტოქე — რესპუბლიკელი ჯეიმს ტომპსონი. მაგრამ იქვე გამოირკვა, რომ **არჩევნები აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც კი უპრეცედენტო მასშტაბის პოლიტიკური მაქინაციებით. მაგალითად, დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიების წევრები წინასწარ ამზადებდნენ იმ პირების სიებს, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებული კენჭისყრისათვის, შემდეგ კი მათ მაგიერ უშვებდნენ ყუთებში ბიულეტენებს.** კერძოდ, ჩიკაგოს ხანდაზმულთა სახლის ბინადარნი მოხსენიებული იყვნენ იმათ შორის, ვინც ხმა მისცა, თუმცა მათ აზრადაც არ მოსვლიათ, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. სკანდალი თაღლითობის გამო ღვივდებოდა, თუმცა ხელისუფალნი ცდილობდნენ, როგორმე მიეფუჩეჩებინათ იგი, ისინი იძულებულნი იყვნენ, დაენიშნათ სპეციალური პროკურორი რესპუბლიკელთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამოსაძიებლად. **გამოძიებამ ცხადყო, რომ „შესაძლებელია" ბიულეტენების გაყალბებისა და „მკვდარი სულების" მიერ ხმის მიცემის შემთხვევები.** ამასთან დაკავშირებით სტივენსონმა მოითხოვა ხმების ხელახალი დათვლა.

„თავისუფალ" და „დემოკრატიულ" არჩევნებში მაქინაციებთან დაკავშირებით ატეხილ დავიდარებას ხელი მოკიდა ფედერალურმა სასამართლომ. მის მიერ საქმის გარჩევის შედეგებმა მთლიანად დაადასტურეს სიყალბისა და თაღლითობის ფაქტები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩიკაგოში „არასწორად იყო გაფორმებული" 2640 საარჩევნო ბიულეტენი.

მაგრამ სასამართლო ინსტანცია დასჯერდა ამას, უარი თქვა, მოეწყო გამოძიება მთელი შტატის მასშტაბით. ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით „არ გაახმაუროს შინაურული ამბები", სასამართლომ საღი აზრის საწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ არ არის საკმაო საფუძვლები ხმების ხელახალი დათვლისათვის.

ჟურნალისტებს „დამსჯელი სანქციებით" ემუქრებიან

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომლის თანახმადაც მთელი რიგი მთავარი უწყებების თანამშრომლებს ამიერიდან ეკრძალებათ, პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილ პირებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდნენ პრესის წარმომადგენლებს.

პრესასთან ურთიერთობის დარგში პრეზიდენტის თანაშემწე დ. გერგენი აშკარად დაემუქრა „დამსჯელი სანქციებით" იმათ, ვინც დაარღვევს ადმინისტრაციის მეთაურის ამ განკარგულებას.

ფორმალურად ეს ღონისძიება მიზნად ისახავს, „არ დაუშვას ადმინისტრაციისათვის მეტად არასასურველი კონფიდენციალური ინფორმაციის „გახმაურება". მაგრამ საქმე სულაც არ ეხება საიდუმლო ცნობებს. კარგად არის ცნობილი, რომ თეთრი სახლი რეგულარულად რთავდა ნებას, გაემჟღავნებინათ ინფორმაცია მისი მოქმედების, კერძოდ მასირებული სამხედრო მზადების პროგრამების გასამართლებლად.

ამჯერად თეთრი სახლის მეთაური სულ სხვა რამის გამოა შეშფოთებული. პრესაში იბეჭდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ 1984 საფინანსო წლის ბიუჯეტში, რომელიც მზადდება, რეიგანს განზრახული აქვს, კიდევ უფრო მეტად გაზარდოს სამხედრო ასიგნებანი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებისათვის ხარჯების 30 მილიარდი დოლარით შემდგომი შემცირების გზით.

ამასთან, როგორც ირკვევა, თვით ადმინისტრაციის წრეებში სულ უფრო აშკარად ეჭვობენ, თუ რამდენად მიზანშეწონილია პოლიტიკა, რომელმაც ხელისუფლების სათავეში რეიგანის ყოფნის ორი წლის მანძილზე შეერთებული შტატები „დიდი დეპრესიის" დროიდან ყველაზე მძიმე დაქვემდებარებამდე მიიყვანა და კიდევ უფრო კატასტროფული შედეგების საფრთხეს ქმნის. ადმინისტრაციაში, ისე, როგორც მმართველი რესპუბლიკური პარტიის რიგებში, განმარტავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", გააფთრებული შეტაკებები ხდება.

როგორც პრესის თავისუფლებისთვის მებრძოლ რეპორტიორთა კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ლანდოუმ განაცხადა, ჟურნალისტებთან ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კონტაქტების შეზღუდვა, რომელიც გამოაცხადა თეთრმა სახლმა, სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა ცენზურა.

ხელები შორს ავღანეთისგან!

ქაბული. „ხელები შორს ავღანეთისაგან!", „ჩვენ გავიმარჯვებთ!", „გაუმარჯოს აპრილის რევოლუციას!" — ამ ლოზუნგებით ქვეყნის ყველა პროვინციის ცენტრში გაი-

მართა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმ განცხადების მხარდამჭერი მარშები და მიტინგები, რომელშიც გადაჭრით არის დაგმობილი ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევა ავღანელი ხალხის საშინაო საქმეებში. ამ დღეებში მასობრივი მანიფესტაცია გაიმართა ფარაჰის პროვინციაში. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშები და გლეხები, თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწენი, შეიარაღებული ძალების მოსამსახურენი. მანიფესტაციის მონაწილეებს მოჰქონდათ ლოზუნგები, რომლებიც შეიცავდა მოთხოვნას, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ შეუწყვიტოს დახმარება ავღანეთის კონტრრევოლუციას. **ავღანელი ხალხი, ხაზი გაუსვეს დემონსტრანტებმა, არ მისცემს ნებას რევოლუციის მტრებს, უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, ქვეყნის ხალხის მიერ არჩეული გზა ეს არის ბედნიერებისა და აყვავების გზა, ერთხმად გაიძახოდნენ დემონსტრანტები.**

მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა, აგრეთვე, ჰერათში, ბალხში, ყანდარაში, მაზარ-შარიფში, გარდეზში, ღაზნში. ფაქთაის სამხრეთ აღმოსავლეთ პროვინციის ცენტრში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას ქვეყნის თვალსაჩინო რელიგიურმა მოღვაწემ ჰაჯი ყანედაარიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანელი მშრომელები მტკიცედ უჭერენ მხარს თავიანთ ხელმძღვანელობას, მზად არიან, საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკებს, რომლებიც ხელყოფენ ავღანელი ხალხის თავისუფლებას. აპრილის რევოლუცია, თქვა მან, შეუქცევადი ხასიათისაა და ეს უნდა შეიგნონ რეიგანმა და მისმა მსგავსებმა.

ავღანეთის პრესა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამასწინანდელ პროვოკაციულ განცხადებებს. ბახთარის სააგენტო, კერძოდ, აღნიშნავს, რომ რევოლუციურ ავღანეთში სახალხო ხელისუფლების განმტკიცება უცილობელი ფაქტია. ეს იციან დასავლეთში და სწორედ ამიტომ **თეთრი სახლის მმართველები ამწვავებენ ვითარებას ავღანეთის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ ცდები, შეინარჩუნონ დაძაბულობა, ჩასაფუშადაა განწირული. სააგენტო გმობს რეიგანის უბოდიშო ჩარევას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, თეთრი სახლის პოლიტიკას, რომელიც ახალი ომის წამოწყების საფრთხეს ქმნის.** მილიტარისტების გეგმებს განხორციელება არ უწერია იმიტომ, რომ ყველა ხედავს, თუ რა საძრახის მიზნებს ისახავს ამერიკის ადმინისტრაცია.

ავღანეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს მიმდინარე მანიფესტაციების დაწვრილებით რეპორტაჟებს, რომელთა დროსაც ქვეყნის მშრომელები მხარს უჭერენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიასა და მთავრობას, აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ.

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი. გრძელდება პარტიზანთა ოპერაციები ისრაელის ჯარების წინააღმდეგ, რომლებმაც დაიპყრეს სუვერენული ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქ საიდას სამხრეთით ლიბანელმა პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს ისრაელის არმიის ჯიპს და დაჭრეს რამდენიმე ჯარისკაცი. ამავე რაიონში ერთ-ერთ გზაზე წინააღმდეგობის მებრძოლებმა ნაღმი ააფეთქეს. ბეირუთის სამხრეთით ჩასაფრებულმა პარტიზანებმა მოკლეს ერთი ოკუპანტი.

უკანასკნელ დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერვენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეული შეტაკებანი ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლსა და ქვეყნის მთიან რეგიონებში. აქ მომხდარი ბრძოლების შედეგად მოკლული და დაჭრილია ათობით კაცი.

პროვოკაციული გამოხდომა

ნიუ იორკი. ხელისუფალთა სრული წაყრუების შედეგად კუკლუკს-კლანმა მორიგი პროვოკაციული გამოხდომა მოაწყო. ამჯერად თეთრხალათიანები მაიამში შეიკრიბნენ, სადაც რასობრივი მღელვარების შემდეგ აქამდე შენარჩუნებულია დაძაბული ვითარება.

„ჩვენ აქ იმისათვის ჩამოვედით, რომ დავიცვათ თეთრკანიანი ადამიანისა და პოლიციის უფლებები“, — განაცხადა კუკლუკს-კლანის ერთ-ერთმა მეთაურმა ბილ უილკინსონმა. მაიამის პოლიცია, რომელიც მხეცურად გაუსწორდა ზანგ ჭაბუკს ნეველ ჯონსონს და პროვოკაციულად გამოიწვია რასობრივი მღელვარება, კეთილგანწყობილად შეხვდა რასისტებს, რომლებიც აშკარად ქადაგებდნენ ზანგების დაუსჯელი მოკვლის „უფლებას“.

აშშ პაკისტანის დაზვერვასთან ერთად ავღანეთის წინააღმდეგ

როგორც ბაქთარის სააგენტო იუწყება, ავღანეთის ერთ-ერთ პროვინციაში დააკავეს პაკისტანელი ჯაშუში, ვინმე ხედაიათულა. მან აღიარა, რომ ავღანეთში შეგზავნეს ძირგამომთხრელი საქმიანობისა და დემოკრატიული ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედი კონტრრევოლუციური ბანდების დასახმარებლად.

ხედაიათულა პაკისტანის საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი იყო. როგორც მან თქვა, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პაკისტანის დაზვერვასთან ერთად მუდმივ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა რევოლუციური ავღანეთის წინააღმდეგ.

რა არის ომი?



არისტოტელეს აზრით, **ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე აკეთილშობილებდა ადამიანს, რადგანაც ეს არის მორალურად სწორი ნაბიჯი სიკვდილის შიშის საპასუხოდ, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ საზოგადოებას.**

არისტოტელე ფიქრობდა, რომ **„ტირანები“ „ომის მკეთებლები არიან“, რომლებიც საკუთარ ხალხებს ომებისკენ უბიძგებდნენ იმ განზრახვით, რომ „თავიანთი დაქვემდებარებულები მუდამ დაკავებულები ყოფილიყვნენ და ყოველთვის დასჭირვებოდათ ლიდერი“.**

გავლენიანი თეოლოგის, ნეტარი **ავგუსტინეს** (354-430) მიხედვით, **ომი არის საფასური, რასაც ჩვენ ვიხდით ჩვენი ცოდვილი ბუნების გამო.**



ბერძენი ფილოსოფოსი **პლატონი ომის გამომწვევად ადამიანის მსოფლიო ბატონობისადმი დაუცხრომელ სწრაფვას მიიჩნევს.**

ჰეგელი ამტკიცებს, რომ **ომი, ფაქტობრივად, ერთადერთი გამოსავალია, რადგან „გაჭიანურებული, რომ არაფერი ვთქვათ მუდმივ მშვიდობაზე, რომელიც ქვეყნებში კორუფციას უყრის საფუძველს“, მშვიდობის დროს საზოგადოება დუნდება და ნაწევრდება; „ომი აძლიერებს ერებს, ხოლო ისინი, ვინც მონაწილეობენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, იცავენ მშვიდობას შინ, რისთვისაც იბრძვიან საზღვარგარეთ“.** ჰეგელი ამბობდა, რომ **„მსოფლიო ისტორია არის მსოფლიო სასამართლო“.**

კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1831) ამბობს, რომ **„ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით“.**



ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) **ზოგადად უარყოფდა პირობით ზნეობრიობას, ხოლო ქრისტიანულ ეთიკასა და ჰუმანურობას განსაკუთრებით ვერ იტანდა და სისუსტედ მიიჩნევდა. ნიცშე ეთაყვანებოდა ძალაუფლების აგრესიულ გამოვლინებას, როგორც ადამიანებში, ასევე ქვეყნებში. იგი ხოტბას ასხამდა ნებისყოფას და ომის, ერთი შეხედვით უსიამოვნო, მაგრამ სასიკეთო გავლენას ერებსა და ცივილიზაციებზე.**

იტალიური ფაშიზმის მამის — **მუსოლინის** მიხედვით, **„ომი ადამიანის ენერგიის მობილიზაციას ახდენს და განადიდებს იმათ, ვისაც ძალა შესწევს, მას თვალი გაუსწოროს“.**



ზიგმუნდ ფროიდს (1856-1939), ფსიქოანალიზის ფუძემდებელს, მიაჩნდა, რომ **ადამიანები იბადებიან „სიკვდილის სურვილით“ — თვითგანადგურების თანდაყოლილი აზრით, რომლის მიმართულების შეცვლასაც ისინი უმეტესწილად ახერხებენ. ფროიდი მიიჩნევდა, რომ ომს გააჩნია თვითდამანგრეველი იმპულსის გამოდევნის ფუნქცია. თუმცა ამ თეორიის კრიტიკოსები თვლიან, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ სანახევროდაა სწორი — ის ჯარისკაცები, რომლებიც ჩადიან მკვლელობებს, თავად არ იღებენ გადაწყვეტილებას ომის დაწყების თაობაზე, ხოლო ისინი, ვინც ამის შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას (და ახერხებენ მშვიდად ჯდომასა და საფრთხის თავიდან აცილებას), თავად არ იბრძვიან.**



თომას ჰობსი (1588-1679) ომის განსხვავებულ, მაგრამ ასევე არანაკლებ უსიამოვნო ახსნას გვთავაზობს. ის მიიჩნევდა, რომ **ადამიანები ბუნებით სასტიკები და უგუნურები არიან. ერთადერთი საშუალება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად არის ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიქცევიან ისინი ცივილური საზოგადოების გარეშე, ბუნებრივ პირობებში.**



ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778): „ადამიანი თავისუფალ ქმნილებადაა დაბადებული, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ბორკილები ადევს“. დამნაშავეა ქონება. ფრანგმა ფილოსოფოსმა რუსომ გააკრიტიკა ჰობსის მოსაზრება ადამიანის მუხთალ და მოძალადე ბუნებასთან დაკავშირებით. რუსომ განაცხადა, რომ **ადამიანები „სულელი, მაგრამ მშვიდობიანი“ არსებები არიან, რომლებსაც შეუძლიათ თანაუგრძნონ დაჩაგრულებს.** რუსოს სჯეროდა, რომ ეს არის სოციალური ადამიანის და არა პირველყოფილი ადამიანის თვისება. რუსოს სწამდა, რომ **საზოგადოება არის ყველანაირი პრობლემის მიზეზი, ომის ჩათვლით.**



გერმანელი ფილოსოფოსის, **ემანუელ კანტის** (1724 — 1804), ნაშრომის მიხედვით, **იმისათვის, რათა სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ სიძლიერე, საჭიროა განავითარონ განათლება, კომერცია და სამოქალაქო თავისუფლება. განათლებას, კანტის აზრით, მოაქვს საერთო განმანათლებლობა, ხოლო კომერცია საშუალებას აძლევს ქვეყანას, მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო ეს ორი ფაქტორი საფუძველს უყრის მშვიდობას.**

კანტი ამბობს: **„რესპუბლიკის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მშვიდობისმოყვარე საქციელის წახალისებას შემდეგი მიზეზით: თუ ომის დაწყებისთვის საჭიროა იმ ადამიანების თანხმობა, რომლებმაც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ ომის მთელი საშინელება, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ხალისით დათანხმდებიან ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობას. ამგვარი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ქვეყნები, რომელთა მთავარი საგანი არ არის მოქალაქე, ძალზე იოლად იწყებენ ომებს, როგორც გასართობს და ამისთვის მათ სერიოზული მიზეზი არ სჭირდებათ.“**

ამ ფოტოზე თამაზ ქიქავამ აღბეჭდა საქტელერადიოში დამკვიდრებული ერთი ტრადიცია, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ჩემპიონობიდან ჩაეყარა საფუძველი: ყოველ ახალ ჯერზე მსოფლიო ჩემპიონი ქადრაკში ქალთა შორის თბილისში ჩამოსვლისთანავე ტელერადიოკომიტეტს უნდა სწვეოდა და ქართველ გულშემატკივართა წინაშე აქედან (ეკრანიდან) წარმდგარიყო.